საქართველოს კპ ცკ-თან არსებული კარტიის
ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

გ. ქვანია

ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის“ შესახებ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1990

63. 3 (2 ґ)
ე 673

ნაშრომში გაშუქებულია გამოჩენილ ქართველ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ერთი ნაწილის ნაციონალ-უკლონისტებად „მონათვლის" ისტორია. მასში გამოყენებულია ავტორის მიერ გამოვლენილი ახალი, დღემდე გამოუქვეყნებელი ფრიად მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტები და მასალები. აღნიშნულ საკითხზე ავტორმა სხვადასხვა დროს პრესის ფურცლებზე გამოაქვეყნა პრობლემური ხასიათის სტატიები, რამაც მოახდინა ფაქტიურად „ნაციონა-უკლონისტებად" წოდებულთა სრული პოლიტიკური რეაბილიტაცია.

0902050000 [illegible]
Ж ——————————— 4—1990
М 601 (08)—90

ISBN 5—529—01032—6

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1990

1. შესავლის მაგიერ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში, პარტიულ დოკუმენტებსა და პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ტერმინი „ნაციონალ-უკლონისტები". ასე შეერქვა მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვს, რომელშიც შედიოდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი: ბ. მდივანი, ფ. მახარაძე, ს ქავთარაძე, კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა და ბევრი სხვა

როგორ მოხდა, რომ ადამიანები, რომლებმაც კავკასიის სხვა რევოლუციონერებთან ერთად თავიანთი მხრებით ზიდეს ბრძოლის ძირითადი სიმძიმე ჯერ ცარიზმისა და ბურჟუაზიის, შემდეგ მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ, ადამიანები, რომლებიც არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს, იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, უცებ „ნაციონალ-უკლონისტებად" იქცნენ? რა გახდა ასეთი მკვეთრი პოლიტიკური შეფასების საბაბი, რით დაიმსახურეს მათ ასეთი მკაცრი განაჩენი?

ეს საკითხები არაერთხელ წამოჭრილა ქართველ ისტორიკოსთა წინაშე. მაგრამ მათზე პასუხი არ გაუციათ, ვინაიდან ბატონობდა ოფიციალური თვალსაზრისი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ სამარცხვინო ბოძზე გააკრა „ნაციონალ-უკლონისტები“.

ბერიას ავადსახსენებელ წიგნში „ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ეწერა, რომ „ნაციონალ-უკლონიზმი“ წარმოადგენდა შემტევ შოვინიზმს, რომელიც ასახავდა ქართველი მენშევიკებისა და ნაციონალ-დემოკრატების დიდმპყრობელურ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

ამავე ყაიდაზე იყვნენ დახასიათებული „ნაციონალ-უკლონისტები“ „კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის“ მოკლე კურსში, სადაც ნათქვამია, რომ ისინი „ნამდვილი დიდმპყრობელური შოვინისტები არიან,“, რომლებიც ახორციელებდნენ „დიდმპყრობელურ პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობათა მიმართ“. მათ ბრალად სდებდნენ იმას, რომ ისინი „ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების წინააღმდეგ“, ასევე არიან დახასიათებული „ნაციონალ-უკლონისტები“ „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებში“, რომელიც გამოიცა 1971 წელს, „სკკპ ისტორიაში“ ბ. პონომარიოვის საერთო რედაქციით და „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევებში“. ასეთია დოგმატიზმისა და კონიუნქტურულობის

ძალა, რომლებიც დიდხანს სუფევდა ჩვენს საზოგადოებათმცოდნეობაში.

ახლა, როდესაც სერიოზულად ვესწრაფვით აღვადგინოთ ნამდვილი ისტორიული სიმართლე ჩვენს წარსულზე, აღმოვფხვრათ „თეთრი ლაქები“, ფაქტების განზრახ დამახინჯება და გაყალბება, დადგა დრო გავერკვეთ „ნაციონალ-უკლონიზმის“ ისტორიაშიც.

2. ებრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ

პოლიტიკური ბრალდება „ნაციონალ-უკლონიზმში“ გაჩნდა იმ კონფლიქტების მსვლელობაში, რომლებიც წარმოიშვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე. ეს დავა ეხებოდა იმ პერიოდის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ბევრ პრინციპულად დიდმნიშვნელოვან ასპექტს.

პირველი უთანხმოება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის გაჩნდა ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში რკინიგზების გაერთიანების საკითხზე.[1]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნდა, რომ რკინიგზების გაერთიანება არ შეიძლება განხორციელდეს მბრძანებლური გზით, და რომ ჯერ უნდა აღდგენილ იქნას დან-

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 71.

ფრეული გზა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრით, რკინიგზების გაერთიანება უნდა მომხდარიყო ადგილობრივ ხელისუფალთა სახელით და პოლიტიკური კამპანიის ჩატარების შემდეგ. კავბიურო ჩქარობდა. მან მოუმზადებლად, ყოველგვარი კამპანიის ჩაუტარებლად გამოიტანა და გამოაქვეყნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეუთანხმებლად დადგენილება რკინიგზების გაერთიანების შესახებ. ამის შედეგად რკინიგზების გაერთიანების ნაცვლად, ბუდუ მდივნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოხდა მათი გათიშვა“.[1]

რკინიგზების გაერთიანების საკითხში საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგომისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი „ნაციონალ-უკლონისტებად“ მონათლეს.

მეორე სერიოზული უთანხმოება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის წარმოიშვა 1921 წლის შუახანებში თბილისში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის დაფუძნების საკითხზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნაადრევად მიიჩნია ასეთი ორგანოს შექმნა და კავბიუროს მეშვეობით რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით — გადაესინჯა ეს გადაწყვეტილება იმ მიზნით, რომ საქართვე-

[1] მლიცპა, ფ. 64, აღწ. 1, ს. 1, ფურც. 220.

ლოს საგანგებო კომისიას თავისი ხელმძღვანელობა განეხორციელებინა არაოფიციალურად ცალკე კავკასიის არმიის განსაკუთრებული განყოფილების მეშვეობით.[1]

კავბიუროს, პირადად ორჯონიკიძეს, ამ საკითხში კონფლიქტი მოუხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კონფლიქტი ამ საკითხის გამო გადაწყვიტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ.[2]

შემდეგი, მესამე საკითხი, რომელზეც უთანხმოება წარმოიშვა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის, ეხებოდა ამიერკავკასიაში ფულის რეფორმის საკითხს.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა უგულებელყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრი და მიიღო გადაწყვეტილება მთელ ამიერკავკასიაში რუსული ფულის ნიშნების შემოღების შესახებ.[3]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს რეფორმა მეტად ნაჩქარევად მიიჩნია და აღნიშნა, რომ რეფორმა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ მაშინ, როცა რსფს რესპუბლიკის ფულის ნიშნებს გასავალი ექნებოდათ სა-

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 25.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფურც. 29.

ქართველოს ბონების თანაბრად ან მათზე მეტად,[1] ამასთან საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნდა, რომ ეს მომენტი მალე დადგებოდა. აღნიშნული უთანხმოება განსახილველად შეიტანეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, რომელმაც დაამტკიცა (ვ. ი. ლენინის დაუსწრებლად) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება. მაგრამ მალე, ლენინის წინადადებით, საკითხი კვლავ დაისვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, კომისიას გადაეცა და 1922 წლის 6 ოქტომბერს პლენუმმა დაამტკიცა კომისიის შეთანხმება იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო გარდამავალ ღონისძიებათა განხორციელება ამიერკავკასიაში ფულის სისტემის ერთიანობის უზრუნველსაყოფად.[2]

შემდეგი, მეოთხე, უთანხმოება ეხებოდა ქართული წითელი არმიის საკითხს. ვ. ი. ლენინის დირექტივებზე დაყრდნობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა ქართული არმიის შექმნას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს მოთხოვნაც უარყვეს. კავბიურომ და რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. 1921 წლის ნოემბერში რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა და-

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 29.

[2] იქვე.

დგენილება ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში სამხედრო საქმის დაყენების საკითხში ყოველმხრივ სრული უფლებების მინიჭების შესახებ.[1] ამ დადგენილების შედეგად ქართული წითელი არმიის ნაცვლად იქმნებოდა ნომერული ქართული ბრიგადა ცალკე კავკასიის არმიის შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით პ. აღნიაშვილი ძერჟინსკის კომისიის მოხსენებაში წერდა: „ჩვენ ნებას არ გვრთავდნენ ჩამოგვეყალიბებინა არმია და ამით საქართველოს მრავალრიცხოვან ნაციონალისტებს საბაბი მისცეს წითელი არმია მიეჩნიათ საოკუპაციო არმიად“.[2] აი ის ძირითადი მოტივი, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა ქართული წითელი არმიის შექმნას.

არანაკლებ მწვავე ხასიათი მიიღო უთანხმოებამ პროფკავშირების საკითხზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იმის წინააღმდეგი იყო, რომ საქართველოს პროფკავშირები უშუალოდ დაკავშირებოდნენ სრულიად რუსეთის პროფკავშირებს და აუცილებლად მიაჩნდა ეს კავშირი განეხორციელებინა საქართველოს პროფსაბჭოს მეშვეობით.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიურო და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ახორციელებდნენ უშუალო კავშირის უზრუნველყოფის ხაზს საქარ-

---

[1] მლიკპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 30.

[2] იქვე.

თველოს პროფსაბჭოს გვერდის ავლით, მაგრამ პროფსაბჭოს უტოვებდნენ უფლებას გაეპროტესტებინა სრულიად რუსეთის კავშირების გადაწყვეტილებანი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მეშვეობით.[1]

რკპ ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროს ხაზს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ საქართველოს პროფსაბჭო, როგორც ეს აღიარა ბუდუ მდივანმაც, აფერხებდა ამ გადაწყვეტილების განხორციელებას. ამისათვის სამსახურიდან მოიხსნა საქართველოს პროფსაბჭოს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ოდილავაძე.

ამასთან დაკავშირებით რკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ 1922 წლის 25 სექტემბერს დაავალა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს ჩაეტარებინა საქართველოს პროფკავშირებს შორის წმენდა და პერეტრუბაცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და რკპ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა, რომ წმენდა დაეკისრებინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. მაგრამ ორჯონიკიძემ, საორგანიზაციო ბიუროს წინადადების თანახმად, წმენდა და პროფსაბჭოს ახალი სამდივნოს დანიშვნა

---

[1] ბლიცპა, ფ. 5, აღწ. 2. ს. 32, ფურც. 31.

ჩაატარა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეშვეობით და ამით საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს ჩამოართვა საქართველოს პროფესიული მოძრაობის საქმეთა წარმართვა.[1] ამან გამოიწვია უკანასკნელის საყვედურები, პროტესტები და ჩივილი იმისათვის, რომ საქართველოს პროფესიული მოძრაობა ჩამოაშორეს მის მართვას, რომ მისი უფლებები უფრო დააკნინეს საგუბერნიო კომიტეტების უფლებებთან შედარებითაც კი.

უფრო ადრე, 1921 წლის აგვისტოში, წარმოიშვა უთანხმოება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების საკითხზეც. სხვებთან შედარებით ამ საკითხზე უთანხმოებამ უფრო მწვავე და მძაფრი ხასიათი მიიღო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ შემთხვევაში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საპირისპირო პოზიციაზე დადგა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი არ ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების აუცილებლობას, მაგრამ მოითხოვდა მის განხორციელებას სამეურნეო შეთანხმებებით და წინადადებას აყენებდა ეს და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებანი გაეტარებინათ არა ბრძანების წესით, ადმინისტრაციული ზემოქმედების მეთოდებით, არამედ მოფიქრებულად, ზედმეტი აჩქარების გარეშე, პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით.

---

[1] მლიკპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 72.

მაგრამ კავბიურო უგულებელყოფდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრს და ამიერკავკასიიის რესპუბლიკების გაერთიანება მიაჩნდა უშუალო პრაქტიკის საქმედ, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო, და განაგრძობდა მის გატარებას ისე, რომ გულდასმით არ ამოწმებდა, არსებობდა თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების აუცილებელი წანამძღვრები, ანგარიშს არ უწევდა აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების აზრს, არავითარ წინასწარ განმარტებითს მუშაობას არ ეწეოდა მასებში, არ აბამდა ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციებს.

და შემთხვევითი როდია, რომ ბევრი ღონისძიება, რომელთა განხორციელებას ლამობდა კავბიურო, ორჯონიკიძის — კავბიუროს ფაქტიური ხელმძღვანელის — აღიარებით, არ. განხორციელებულა, კერძოდ, ჰაერში იყო გამოკიდებული რკინიგზისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული ორგანოების შექმნა, შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე სავალუტო ფასეულობათა საგარეო ვაჭრობისათვის გადაცემის გადაწყვეტილება და ა. შ.[1]

კავბიუროს ღონისძიებათა ჩაშლის ძირითად მიზეზად მიაჩნდა „საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია საქართველოსა და აზერბაიჯანში ზოგიერთი ამხანა-

---

[1] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა. თბილისი, 1922. გვ. 43.

გის მხრივ".[1] ამიტომ კავბიურომ დაუყოვნებლივ გადამწყვეტ ზომებს მიმართა მთავარ „დამნაშავეთა" წინააღმდეგ, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელძღვანელობის წინააღმდეგ.

უკვე რკპ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმის[2] გადაწყვეტილებაში — „ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის ივლისის პირველ რიცხვებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ბრალად ედებოდა „გადახრა ნაციონალიზმისაკენ", რომელიც თითქოს გამოიხატა საგარეო ვაჭრობის, რესპუბლიკების ტერიტორიული გამიჯვნის, საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმების საკითხების გადაწყვეტისას.

ასე შეეიდა ხმარებაში ტერმინი „ნაციონალ-უკლონიზმი", ასე დაედო სათავე „ურჩების" დევნა-შევიწროებას, რაც შემდგომ ბევრი მათგანის ფიზიკური მოსპობით დასრულდა.

ჩვენი აზრით კი, „ნაციონალ-უკლონიზმის" ბრალდება კავბიუროს ხელმძღვანელობას იმისათვის დასჭირდა, რომ გაემართლებინა ამიერკავკა-

---

[1] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, თბილისი, 1922, გვ. 44.

[2] კავბიუროს პლენუმი გაიმართა თბილისში 1921 წლის 2-3 ივლისს, რომელზეც რკპ ცენტრალური კომიტეტიდან მონაწილეობდა ი. ბ. სტალინი. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ.

სოის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს დაშვებული საკუთარი შეცდომები.

რით გამოიხატებოდა, ჩვენი აზრით, ისინი? ჯერ ერთი, კავბიურო ხელოვნურად აჩქარებდა თავის ღონისძიებათა განხორციელებას, ანგარიშს არ უწევდა იმას, თუ რამდენად მზად იყვნენ მშრომელები ამისათვის. ნებაყოფლობის ნაცვლად ხშირად მიმართავდა მბრძანებლურ ზომებს. ზოგჯერ კავბიურო სახავდა ისეთ ამოცანებსაც, რომელთა შესრულება წინასწარ განწირული იყო ჩაფუშავად. ამის შედეგად იყო შემთხვევები, როცა კავბიურო აუქმებდა ნაჩქარევად მიღებულ თავის გადაწვეტილებებს.

მეორე მიზეზი, რამაც გამოიწვია ოპოზიცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ, ის იყო, რომ კავბიურო ხშირად ქედმაღლურად უგულებელყოფდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრს და არცთუ იშვიათად უხეშად ერეოდა მის საქმეებში.

მესამე. რკპ ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ბევრ შემთხვევაში დავიწყებას მისცა ლენინის ბრძნული რჩევები და მითითებანი, რომლებიც გადმოცემულია გ. კ. ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 2 მარტის წერილში და წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის მთიანი რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“, რომელიც დაწერა 1921 წლის 14 აპრილს.

ვ. ი. ლენინი ორჯონიკიძეს სთხოვდა:

„...აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არა თუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის შესაძლებლობა".[1]

„გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობები ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვს რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული".[2]

რა არის საერთო ლენინის ამ მითითებებსა და კავბიუროს, ხოლო მოგვიანებით ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის მიერ გატარებულ ხაზს შორის ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის მიმართ?

რა თქმა უნდა, საერთო არაფერია.

მეოთხე, უფრო მნიშვნელოვანი, მიზეზი იყო ის, რომ კავბიუროს ხელმძღვანელები უგულებელყოფდნენ ლენინის უაღრესად საგულისხმო მითითებებს იმის თაობაზე, რომ ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისას „აუცილებელია განსაკუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 189.

[2] ი ბ ე ვ ე, გვ. 190.

ორებული სიფრთხილე ეროვნული გრძნობის მიმართ", რომ „პროლეტარული დამოუკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას, რომ „ერებს შორის საჭიროა ისეთი კავშირი, რომელიც დაემყარება სრულ ნდობას, ძმური ერთიანობის შეგნებას".

ვ. ი. ლენინის ამ ბრძნულ მითითებათა ნაცვლად გაერთიანებული პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი ხშირად ახორციელებდა აშკარად შოვინისტურ პოლიტიკას. ავიღოთ, მაგალითად, ასეთი ფაქტი: თბილისის ბევრ დაწესებულებაში შემოღეს საქმის წარმოება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე, ამიერკავკასიის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში, რომლებსაც სათავეში რუსები ედგნენ, მთელი საქმის წარმოება და მიმოწერა ადგილობრივ დაწესებულებებთან რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.[1]

ან სხვა მაგალითი: რკინიგზების გაერთიანების შემდეგ 1921 წლის ოქტომბრის დამლევს ბევრი ქართველი მუშა დაითხოვეს თითქოსდა შტატების შემცირების საბაბით, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველო ერთი თვის შემდეგ როსტოვში გზავნის დეპეშას და მოითხოვს: „უკიდურესი აუცილებლობის გამო გამოგზავნოს 12-14 ათასი კაცი, მათ შორის გუშაგები და ასენიზატორები".[2]

---

[1] მლიცკა. ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ~~ფურც. 70.~~

[2] იქვე.

საქ. სსრ კ. მარქ
სახ. სახ. რეპ

კიდევ ასეთი მაგალითი: საგანგებო კომისიის ორგანოებიდან მასობრივად ითხოვდნენ ქართველებს და მათ ნაცვლად ნიშნავდნენ რუსებს. 1921 წლის დამლევს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის უფროსი დეპეშას გზავნის ბათუმში: „სამარიდან მივიღეთ შევსება 1345 ველიკორუსი. გვაცნობეთ, რამდენი შევსება გჭირდებათ". დეპეშაში განმარტებული იყო, თუ ვინ უნდა მოეცილებინათ ბატალიონიდან, მათ შორის ყველა ქართველი. ამ დეპეშის საფუძველზე ბათუმის საგანგებო კომისიის უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ახლა ისეთი კურსია, რომ შეიძლება ყველა ქართველი დავითხოვოთ საგანგებო კომისიიდან".[1]

და კიდევ: თბილისში მყოფი ძველი შავრაზმული მოხელეობა ძველი ჩვეულებისამებრ თავისას გაიძახოდა, მალე ბოლო მოეღება საქართველოს და ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო.[2]

დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინების ეს და სხვა მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი თითქმის რეაგირების გარეშე რჩებოდა კავბიუროს და შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მხრივაც.

კანონზომიერია, რომ კავბიუროს და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შემრიგებლური პოლიტიკა არა მარტო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული ორგა-

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32. ფურც. 78.

[2] იქვე.

ნიზაციების უკმაყოფილებას იწვევდა, არამედ ფა-
რთო მასებისასაც, რომლებიც საუკუნეზე მეტი
ხნის განმავლობაში იღებდნენ მეფის დიდმპყრო-
ბელური შოვინისტური პოლიტიკის დამამცირებელ
საგნობრივ გაკვეთილს. ამიტომ მშრომელი მასები
განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ ერო-
ვნული გრძნობებისადმი აბუჩად ამგდები დამო-
კიდებულების თითოეულ შემთხვევას.

ასეთია მთავარი მიზეზები, რომლებმაც ჩასა-
ფუშავად გასწირეს კავბიუროს ბევრი ძალზე ნაჩ-
ქარევად მიღებული გადაწყვეტილება, ამიერკავ-
კასიის რესპუბლიკების ეკონომიკურ გაერთიანებას
რომ ისახავდა მიზნად. თვით ორჯონიკიძეც არ
უარყოფდა ამ ფაქტს: „რა თქმა უნდა, ცხადია,
რომ ჩვენც ცოდვილები ვიყავით“.[1] — ამბობდა
იგი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციე-
ბის I ყრილობაზე.

კავბიუროს აღნიშნული შეცდომები არანაკლებ
ახასიათებდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის
საქმიანობასაც, განსაკუთრებით 1922-1923 წლე-
ბში.

მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ამიერ-
კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთი-
ანება არ მოხერხდა, კავბიურომ გააუქმა შესაბა-
მისი გადაწყვეტილება და თავის 1921 წლის 2 ნო-
ემბრის პლენუმზე მიიღო დადგენილება ამიერკავ-
კასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შე-

---

[1] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრი-
ლობა. თბილისი, 1922, გვ. 45.

სახებ. პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია: „ხელმძღვანელობს რა იმით, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული არსებობა უმწეოს გახდის მათ კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე, რომ მეიდრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი კონტრრევოლუციის მხრივ თავდასხმის აცილების საიმედო გარანტია იქნება და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის საზღვარზე, აგრეთვე გაზრდის ამ რესპუბლიკების სამეურნეო-ეკონომიკურ ძლიერებას და მყარ საფუძველს ჩაუყრის ამიერკავკასიის მშრომელი მასების სოლიდარობას, — კავბიურო ადგენს: შეიქმნას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია, გაერთიანდეს სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო და საგარეო პოლიტიკა, ჩამოყალიბდეს გაერთიანებული ორგანო — საკავშირო საბჭო: ფედერაცია სულაც არ ნიშნავს არსებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოსპობას".[1]

კავბიუროს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან წინასწარ შეუთანხმებლად და ყოველგვარი მოსამზადებელი კამპანიის გარეშე.[2]

8 ნოემბერს ს. ორჯონიკიძემ მიღებული რეზოლუცია გაუგზავნა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

---

1 ბაკინსკი რაბოჩი, 1921 წლის 6 ნოემბერი.

2 მლიცპა. ფ. 5. აღწ. 2. ს. 32. ფურც. 21.

კავბიუროს დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ განიხილეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1921 წლის 17 ნოემბერს. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფერედაციად გაერთიანების აუცილებლობა საკმაოდ დამაჯერებლად ვერ იყო დასაბუთებული, ამიტომ თავის გადაწყვეტილებაში პოლიტბიურომ ჩაწერა: „კავბიუროში გაიგზავნოს შემდეგი დეპეშა: „დაუყოვნებლივ გვაცნობეთ, სახელდობრ რა დაადგინეთ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხზე და როგორ წარმოგიდგენიათ ამიერკავკასიის ფედერაციის საკავშირო საბჭოსა და რსფს რესპუბლიკის ურთიერთობა. ცენტრალური კომიტეტი დასკვნას გამოიტანს თქვენგან მასალების მიღების შემდეგ".[1]

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება მოასწავებდა, რომ კავბიურომ და მისმა ხელმძღვანელობამ ზუსტად ვერ ჩამოაყალიბეს თავიანთი იდეები ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ.

კავბიურომ შეუწყნარებელი აჩქარება გამოიჩინა იმაშიც, რომ ეს საკითხი გადაწყვიტა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან შეუთანხმებლად, პარტიულ ორგანიზაციებში წინასწარ განუხილველად, არ ჩაატარა არავითარი განმარტებითი მუშაობა ფართო მასებისათვის ამ ნაკ-

---

[1] მლიცპა, ფ. 17, აღწ. 3, ს. 231, ფურც. 2.

ლებად გასაგებ საკითხზე. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ფედერაციის შექმნის საკითხზე წარმოიშვა სერიოზული უთანხმოება კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პრინციპულად არ იყო ფედერაციის წინააღმდეგი, მაგრამ მავნედ მიაჩნდა მოვლენებისათვის გასწრება, მოითხოვდა ფრთხილ მიდგომას, გაერთიანების განხორციელებას ქვემოდან საბჭოების შექმნის შემდეგ, რათა არ ჩაშლილიყო საარჩევნო კამპანია. ფ. მახარაძე მოხსენებაში 1921 წლის დეკემბერში რკპ ცენტრალურ კომიტეტს უდგენს მოხსენებას — „საქართველოში მუშაობის შესახებ", რომელშიც გადაჭრით აყენებს საკითხს „შეაჩერონ კავბიუროს უაღრესად უთავბოლო გადაწყვეტილება — ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაუყოვნებლივ განხორციელება საქართველოსა და სომხეთში საბჭოების შექმნამდე".[1] შემდეგ, მახარაძე წერს: „კავბიუროს დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ ეწინააღმდეგება მთელ ჩვენს პოლიტიკას, რომელიც ძალზე ფრთხილი უნდა იყოს და არ უნდა დაუთმოს ჩვენს მტრებს პოზიციები პროვოკაციისათვის. ეს ლონისძიება ნაციონალისტური ტენ-

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 27.

დენციების შესუსტების ნაცვლად, პირიქით, ზრდის და აძლიერებს მათ“.[1]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხში სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს იგი აზერბაიჯანელი, სომეხი ან რომელიმე სხვა საბჭოთა ხალხთან მეგობრობის წინააღმდეგი იყო. პირიქით, ის ყოველნაირად ხელს უწყობდა ძმური მეგობრობის გაფართოებასა და გაღრმავებას ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებს შორის.

მაგრამ კავბიუროს ხელმძღვანელობა, აგრეთვე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი განზრახ ამახინჯებდნენ და ყოველნაირად ართულებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვის პოზიციას, რომელიც არ ემთხვეოდა კავბიუროს აზრს ამიერკავკასიის ფედერაციისა და მისი შექმნის მეთოდების საკითხებში. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ბრალად სდებდნენ, თითქოს ისინი ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების წინააღმდეგ, თითქოს საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა მიმართ თავი ეჭირათ როგორც ნამდვილ დიდმპყრობელურ შოვინისტებს და თბილისიდან ყველა არაქართველის გასახლებასაც კი მოითხოვდნენ; ირწმუნებოდნენ, რომ მათი მოთხოვნით გამოიცა კანონი, რომლის თანახმად არაქართველზე გათხოვილი ქართველი ქალი საქართველოს მოქალაქეობას კარგავდა და ა. შ.

---

[1] მლიკპა. ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 27.

სამწუხაროა, რომ სრულიად ყალბ ბრალდებას, შეთითხნილს ჯერ კიდევ 1921 წელს გააფთრებული პოლემიკის პირობებში, დღესაც თითქმის უცვლელად იმეორებს ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსი თავის ნაშრომებში. განა ეს არ ადასტურებს დასკვნას, რომელიც გამოიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი აქტუალური პრობლემის გაშუქება ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში „30-40-იანი წლების დონეზე რჩება“.

არსებული დოკუმენტების, საარქივო მასალების ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს გადაუჭარბებლად ვამტკიცოთ, რომ ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება პრინციპულად არასწორი, ხელოვნურად გაზვიადებული იყო.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხში ლენინის პოზიცია არსებითად განსხვავდებოდა კავბიუროს ხაზისაგან.

ლენინს მიაჩნდა „...ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის“. შემდეგ, ლენინი საქართველოს, სომხეთის,

აზერბაიჯანის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისაგან მოითხოვდა, რომ „ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და **მუშათა და გლეხთა მასების** წინაშე, ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და **გაიყვანონ** იგი თითოეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე".[1]

სწორედ ამას მოითხოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მეორე დღეს, 29 ნოემბერს, ლენინის პროექტი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის საკითხზე ზოგიერთი შესწორებით მიიღო რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

1921 წლის 30 ნოემბერს პოლიტბიურომ განიხილა უთანხმოებანი კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის ფედერაციის საკითხზე. თავის გადაწყვეტილებაში პოლიტბიურომ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციის სისწორე იმის შესახებ, რომ ნაადრევია ფედერაცია მისი პრაქტიკულად განხორციელების აზრით, და აუცილებელია ფედერაციის საკითხი დაისვას უფრო ფართოდ პარტიისა და მუშურ-გლეხური მასის განსახილველად.[2]

პოლიტბიუროს 1921 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება დეპეშით ეცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მეორე დღესვე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 134.

[2] მლიკპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 40.

1 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, რომლის უმრავლესობა უკვე „ნაციონალ-უკლონისტებად“ მონათლეს, განიხილა რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დეპეშა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის საკითხზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთსულოვნად მოწონებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო: **„მიღებულ იქნას ცნობად და განუხრელი ხელმძღვანელობისათვის“.**[1]

საგულისხმოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას, რომელმაც მიიღო აღნიშნული დადგენილება ფედერაციის შესახებ, ესწრებოდა რვა კაცი, აქედან ხუთი: ოკუჯავა, მდივანი, ქავთარაძე, დუმბაძე, ცინცაძე — ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტი იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ასრულებდა მიღებულ გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ, ხოლო კავბიურო უწინდებურად განაგრძობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრის უგულებელყოფას, ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხში უთანხმოება ამ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს შორის სულ უფრო დაძაბულ ხასიათს იღებდა.

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მლიცპა, ფ. 14, აღწ. I, ს. 6, ფურც. 39.

კონფლიქტი, ერთი მხრივ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის განსაკუთრებით გამწვავდა საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის 23 იანვრიდან 1 თებერვლამდე. კავბიუროს ხელმძღვანელობის ზეგავლენით ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს კომპარტიის ეგრეთ წოდებულ უკლონისტურ ცენტრალურ კომიტეტს და აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც უკლონისტები არ შესულან. მდივანისა და მახარაძის გარდა.[1]

თუმცა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა რკპ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა დაემტკიცებინა საქართველოს კომპარტიის ახალი შემადგენლობა, მაგრამ რკპ ცენტრალური კომიტეტი არ დაეთანხმა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის აზრს და, რკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეს მუშაკები „უკლონისტთა" ჯგუფიდან: ცინცაძე, ქავთარაძე, ტოროშელიძე, რომლებიც ყრილობამ არ აირჩია.[2]

რკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურო, ასაბუთებდა რა თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნავდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენ-

---

[1] მლიკა, ფ. 5. აღწ. 2, ს. 32, ფურც. 18.

[2] იქვე.

ტრალური კომიტეტი ვერ იქნება მუშაობისუნარიანი, თუ მის შემადგენლობაში არ შეიყვანენ ძველ მარქსისტ-პრაქტიკოსებს.[1]

1922 წლის აპრილში, როცა „უგვანო კინკლაობა“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის უკვე გაჩაღებული იყო, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აბუჩად იგდებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, როგორც „შოვინისტებს“, „უკლონისტებს“ და ა. შ., რკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ დაადასტურა, რომ უთანხმოებამ საქართველოში მიიღო უაღრესად მახინჯი და კინკლაობის ხასიათი, აღნიშნა: „ამიერკავკასია, როგორც გლეხური ქვეყანა, კომპარტიის მხრივ მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს იმ საქმეში, რომ ნაციონალისტური გადმონაშთებით დასნებოვნებული წვრილბურჟუაზიული მასები ჩაიყენოს საბჭოური მშენებლობის საერთო კალაპოტში. შეცდომებს ამ მიმართულებით და წინდაუხედაობას შეიძლება მოჰყვეს წვრილბურჟუაზიული გლეხური და ინტელიგენტური ფენების ჩამოცილება საბჭოთა ხელისუფლებისაგან და საქართველოსა და სომხეთში მათი გადასვლა ანტანტის მხარეს“.[2] ამასთან ერთად რკპ ცენტრალური კომიტეტი ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიებს ავალებს უეჭველად და უყოყმანოდ გა-

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 21.

[2] იქვე.

ზახორციელონ გადაწყვეტილება ფედერაციის შესახებ.

თუ მთლიანად დავახასიათებთ უთანხმოებას კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხში, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: ამ უთანხმოებას არასოდეს არ ჰქონია იდეური ხასიათი, იგი ეხებოდა მხოლოდ ამ იდეის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებს. ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს უფრო ორივე მხარის პატივმოყვარული ამბიციებისა და სიჯიუტის ნაყოფი იყო. შესაძლოა, კავბიუროს, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს იმთავითვე რომ გამოეჩინათ მეტი პოლიტიკური მოქნილობა რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისადმი ურთიერთდამოკიდებულებაში, სამოქალაქო ომისათვის დამახასიათებელი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით არ გაერთულებინათ ვითარება, ამ არაჯანსაღ მოვლენას უაღრესად არასასურველი შედეგებით არ ექნებოდა ადგილი.

ვ. ვ. ი. ლენინი: „ერთად და თანასწორად....“

მეორე საკითხი, რომლის ირგვლივაც წარმოიშვა უთანხმოებანი, ერთი მხრივ, რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და, მეორე მხრივ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის, იყო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანების პრინციპების საკითხი. საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების კონკრეტული გზების განსაზღვრისათვის შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. კუიბიშევი, გ. კ. ორჯონიკიძე, ა. თ. მიასნიკოვი, გ. ი. პეტროვსკი, ბ. გ. მდივანი და სხვები.

კომისიამ მოიწონა პროექტი, რომელიც მოამზადა სტალინმა და რომელსაც უწოდა „ავტონომიზაციის გეგმა“. იგი ითვალისწინებდა რესპუბლიკების გაერთიანებას რსფს რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიის საფუძველზე.

სტალინის თეზისები ავტონომიზაციის შესახებ ძირეულად ეწინააღმდეგებოდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის ყველა დიდმნიშვნელოვან ლენინურ პრინციპს, რომლებიც მოითხოვდნენ რუსე-

ოის ხალხთა თანასწორობასა და სუვერენიტეტს, რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე, ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიისა და შეზღუდვის გაუქმებას, რუსეთის[1] ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალ განვითარებას.

შეიძლება სინანულით აღინიშნოს, რომ ამ ლენინურ პრინციპებსა და სტალინის თეზისებს შორის არაფერია საერთო, ოდნავი სიტყვიერი დამთხვევაც კი.

მალე პროექტი „ავტონომიზაციის“ შესახებ განსახილველად დაეგზავნათ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 15 სექტემბერს განიხილა სტალინის თეზისები და დაადგინა: „ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე წამოყენებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაცი-

---

1 ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის სპეციალურ დადგენილებაში, რომელიც ცნობილია როგორც „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“. იგი მიიღეს მალე დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, 1917 წლის 8 ნოემბერს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული ყოფილი მეფის იმპერიის ბევრ განაპირა მხარეში. ამიტომ სიტყვაში „რუსეთის“ იგულისხმებოდა მეფის პერიოდის რუსეთის მთელი ტერიტორია.

ის ფორმით გაერთიანება ნაადრევად ჩაითვალოს. სამეურნეო ძალისხმევის გაერთიანება და საერთო პოლიტიკა აუცილებლად მიგვაჩნია, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით".[1]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას ხმა მისცა 31-მა კაცმა, თეზისებს ავტონომიზაციის შესახებ — 7 კაცმა, სახელდობრ ორჯონიკიძემ, ენუქიძემ, ღოღობერიძემ, კიროვმა, სოკოლნიკოვმა, კახიანმა, ელიავამ, თავი შეიკავა ცხაკაიამ.

ასე დაიწყო საქართველოს კომპარტიამ ბრძოლა „ავტონომიზაციის" იდეების წინააღმდეგ.

მეორე დღეს, 16 სექტემბერს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ავალებს — არ გააცნოს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული დადგენილება, უფრო მეტიც, აწარმოოს მუშაობა მასებში სტალინის თეზისების სულისკვეთებით.[2] ეს ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ფაქტიურად გააუქმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა კონფლიქტური სიტუაცია მათს ურთიერთობაში.

---

[1] მლიკა, ფ. 17, აღწ. 4, ს., 315, ფურც. 43.

[2] იქვე.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს მხარი დაუჭირა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. 25 სექტემბერს რკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ განიხილა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობა ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით, სწორად ცნო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური ხაზი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განუმარტა, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი წარმოადგენს ამიერკავკასიაში ჩვენი პარტიის უმაღლეს ორგანოს და აღჭურვილია რკპ ცენტრალური კომიტეტის ნდობით.[1]

მალე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, რომლებიც იცავდნენ „ავტონომიზაციის" პროექტს, დაადანაშაულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, რომ იგი უარყოფდა ქართველი ხალხის მეგობრობას რუს ხალხთან, საბჭოთა რუსეთთან.

სინამდვილეში კი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გარდა, „ავტონომიზაციის" პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა ბელორუსიის პარტიულმა ორგანიზაციამ. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნეოდა უკრაინაშიც, თუმცა უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეს პროექტი არ განუხილ-

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 22

ავს. პირადად უკრაინის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ზ. მანუილსკი მხარს უჭერდა ავტონომიზაციის პროექტს. სტალინისადმი 1922 წლის 4 სექტემბრის წერილში იგი აყენებდა იდეას: „მოისპოს სოციალისტური რესპუბლიკები და შეიცვალოს ისინი ფართო რეალური ავტონომიით... საჭიროა მხოლოდ ამ ღონისძიების რეალიზაცია მოხდეს ისე, რომ ინიციატივა მომდინარეობდეს ეროვნული საბჭოების ყრილობებიდან და თავისი საკანონმდებლო დასრულება პოვოს სრულიად რუსეთის ყრილობაზე დეკემბერში“.[1]

ვ. ი. ლენინი, რომელიც უკვე გაეცნო „ავტონომიზაციის“ პროექტს, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება მისადმი, განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა იმის მიმართ, თუ როგორ წყვეტდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საკითხს.

1922 წლის 22 სექტემბერს ლენინი სწერს ბარათს სტალინს და სთხოვს აცნობოს, პრაქტიკულად რა კეთდება ამ სფეროში.

იმავე დღეს სტალინი ლენინს უგზავნის ბარათზე პასუხს, რომელშიც ახასიათებს ვითარებას საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულებაში და წერს: „ჩვენ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა ურთიერთობის არსებული წესრიგი ცენტრსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შო-

---

[1] მლიცკა. ფ. 5. აღწ. 2, ს. 28, ფურც. 22.

რის, ე. ი. ყოველგვარი წესრიგის არარსებობა და სრული ქაოსი, აუტანელი ხდება, იწვევს კონფლიქტებს, წყენას, გაგულისებას, ფიქციად აქცევს ე. წ. ერთიან ფედერაციულ სახალხო მეურნეობას, ამუხრუჭებს და ადუნებს ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობას საერთო რუსეთის მასშტაბით".[1]

შემდეგ წერილში სტალინი აღნიშნავს, რომ „ფორმალურად რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სრულიად რუსეთის ცაკის გადაწყვეტილებანი არასავალდებულოა დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის, ამასთან ეს დაწესებულებანი ძალიან ხშირად აუქმებენ დამოუკიდებელი რესპუბლიკების ცენტრალურ დაწესებულებათა დადგენილებებს, რაც იწვევს ამ უკანასკნელთა პროტესტებს მოსკოვის ცენტრალურ დაწესებულებათა „უკანონო მოქმედების" წინააღმდეგ".[2]

სტალინის წერილში აღნიშნულია, რომ „რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა ასეთ შემთხვევებში ხდება ჩვეულებრივ მას შემდეგ, რაც განაპირა მხარეების ცენტრალურმა დაწესებულებებმა უკვე გამოსცეს თავიანთი დეკრეტები, რომლებსაც შემდეგ აუქმებენ მოსკოვის ცენტრალური დაწესებულებანი, ეს კი აჯანჯლებს და აფერხებს სამეურნეო საქმეებს, განაპირა მხარეებში იწვევს უპარტიოების გაოცებას და კომუნისტების გაგულისებას".[3]

---

[1] მლიცპა, 5, აღწ. 2, ს. 28, ფურც. 19.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მთავარ მიზეზს, რომელსაც მოჰყვა ვითარების დაძაბვა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობაში, სტალინი შემდეგნაირად ხსნის: „სამოქალაქო ომის ოთხი წლის მანძილზე, როცა ინტერვენციის გამო იძულებული ვიყავით გვეჩვენებინა მოსკოვის ლიბერალიზმი ეროვნულ საკითხში, მოვასწარით, ჩვენი ნების წინააღმდეგ, კომუნისტებს შორის აღგვეზარდა ნამდვილი და თანამიმდევრული სოციალ-დამოუკიდებლები, რომლებიც მოითხოვდნენ ნამდვილ დამოუკიდებლობას ყველა აზრით და რკპ ცენტრალური კომიტეტის ჩარევა მოსკოვის მხრივ მოტყუებად და პირფერობად მიაჩნდათ“.[1]

შემდეგ სტალინი წერს: „ჩვენ განვითარების ისეთი ხანა დაგვიდგა, როცა არ შეიძლება უგულებელვყოთ ფორმა, კანონი, კონსტიტუცია, როცა კომუნისტების ახალგაზრდა თაობა განაპირა მხარეებში უარს ამბობს დამოუკიდებლობანას თამაში გაიგოს როგორც თამაში, შეუპოვრად ცნობს დამოუკიდებლობის შესახებ სიტყვებს ჭეშმარიტებად და აგრეთვე შეუპოვრად მოითხოვს ჩვენგან მედავითნურად განვახორციელოთ დამოუკიდებელი რესპუბლიკების კონსტიტუციები“.[2]

და შემდეგ: „თუ ჩვენ ახლავე არ შევეცდებით ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის ურიერთობის ფ ო რ მ ა შეეუსაბამოთ ფ ა ქ ტ ი უ რ ურთიერთობას, რომლის ძალითაც განაპირა მხარე-

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 28, ფურც. 19.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 19-20.

ები ყოველივე ძირითადში აუცილებლად უნდა ემორჩილებოდნენ ცენტრს, ე. ი. თუ ჩვენ ახლავე არ შევცვლით ფორმალურ (ფიქტიურ) დამოუკიდებლობას ფორმალურივე (და ამასთან ერთად რეალური) ავტონომიით, მაშინ ერთი წლის შემდეგ შეუდარებლად ძნელი იქნება დავიცვათ საბჭოთა რესპუბლიკების ფაქტიური ურთიერთობა.

ახლა საქმე ეხება არა იმას, რომ არ „ვაწყენინოთ" ნაციონალებს; ერთი წლის შემდეგ, ალბათ საქმე შეეხება იმას, როგორ არ გამოვიწვიოთ განხეთქილება პარტიაში ამ ნიადაგზე, ვინაიდან „ნაციონალური" სტიქია განაპირა მხარეებში მოქმედებს არა საბჭოთა რესპუბლიკების სასარგებლოდ, ხოლო ფორმალური დამოუკიდებლობა ხელს უწყობს ამ მოქმედებას".[1]

ორში ერთი, წერდა სტალინი: „...ან ნამდვილი დამოუკიდებლობა და მაშინ — ცენტრის ჩაურევლობა, თავისი შინსახკომი, თავისი საგარეო ვაჭრობა, თავისი საკონცესიო კომიტეტი, თავისი რკინიგზები, ამასთან საერთო საკითხები წყდება თანასწორის თანასწორთან მოლაპარაკების წესით, შეთანხმების მიხედვით, ხოლო რსფსრ ცაკის, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებები სავალდებულო არ არის დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის; ან საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი გაერთიანება ერთ საერთაშორისო მთელად, რსფსრ სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და ცაკის ხელისუფ-

---

1 ბლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 28, ფურც. 20.

ლების ფორმალური გავრცელება დამოუკიდებელი რესპუბლიკების სახკომსაბჭოზე, ცაკსა და ეკონომიკურ საბჭოებზე, ე. ი. ფიქტიური დამოუკიდებლობის შეცვლა რესპუბლიკების ნამდვილი შინაგანი გაერთიანებით ენის, კულტურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სხვა აზრით".[1]

წერილის ბოლოს სტალინი ლენინს სთავაზობს თავის გეგმას, რომელიც მას მიაჩნდა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ნორმალური ურთიერთობის მოგვარების ერთადერთ გზად:

„ჩემი გეგმაა:

1. ბუხარის, ხივის და შორეული აღმოსავლეთის (რომელიც ჯერ არ გასაბჭოებულა) საკითხი ჯერჯერობით ღიად დარჩეს, ე. ი. ჯერჯერობით არ ვიეცეთ ავტონომიზაცია.

2. დანარჩენი ხუთი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიმართ (უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ავტონომიზაცია, რათა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისათვის ცაკმა და ამ რესპუბლიკებმა თვითონ ნებაყოფლობით გამოთქვან სურვილი უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ მოსკოვთან ავტონომიის საწყისებზე (მე უკვე მაქვს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცეკას განცხადება იმის შესახებ, რომ სასურველია ავტონომიზაცია, და საქართველოს კომპარტიის ცეკას განცხადება, რომ სასურველია ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება".[2]

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 28, ფურც. 20-21.

[2] იქვე.

ჩვენ შემთხვევით როდი მოვიყვანეთ ეს ნაწყვეტები სტალინის ზემოაღნიშნული წერილიდან. სტალინის პასუხი ლენინის ბარათზე, ისევე როგორც სტალინის თეზისები „ავტონომიზაციის“ შესახებ, გარეგნულად ამოცანად სახავდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანობასა და განუყოფლობას, ნამდვილად კი ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ სტალინის იდეას აშკარად დიდმპყრობელურ-შოვინისტური ხასიათი ჰქონდა. ლენინურ დებულებათა საპირისპიროდ „ავტონომიზაციის“ პროექტი ოდნავაც არ ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სურვილს — ყოფილიყვნენ. „თავისი საქმის ბატონ-პატრონნი“. „ავტონომიზაციის“ თეზისები და სტალინის წერილი ასახავდნენ სწრაფვას — უწინდებურად დაკანონებულიყო რუსეთის გაბატონებული მდგომარეობა ყველა მის ყოფილ განაპირა მხარეზე, რომლებმაც დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგად მოიპოვეს უფლება ყოფილიყვნენ „ერთად და თანასწორად“ ერთმანეთთან.

სტალინი არ დალოდებია ლენინის მითითებებს და 23 სექტემბერს მოიწვია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომისიის სხდომა. ეს კომისია შეიქმნა იმისათვის, რომ მოემზადებინა რსფს რესპუბლიკასა და დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საკითხი. კომისიის სხდომამ, რომელიც მიმდინარეობდა 23 და 24 სექტემბერს, საფუძვლად მიიღო „ავტონომიზაციის“ პროექტი. კომისიამ სპეციალური

პუნქტით უარყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 1922 წლის 15 სექტემბერს მიღებული რეზოლუცია. უარყო აგრეთვე გ. ი. პეტროვსკის წინადადება — ნება დაერთოთ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი განეხილათ საგუბერნიო კომიტეტების ბიუროებზე. ამის შემდეგ პეტროვსკიმ მოითხოვა კომისიის ოქმში შეეტანათ, რომ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ განუხილავს საკითხი „დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან რსფს რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ“.

25 სექტემბერს კომისიის სხდომის ყველა მასალა, აგრეთვე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების რეზოლუციები ლენინს გაეგზავნა გორკაში. ამავე დროს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ რეზოლუცია დაუგზავნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსა და კანდიდატს ისე, რომ ამის თაობაზე არ ჰქონია ლენინის მითითება და ეს საკითხი არ განუხილავს პოლიტბიუროში.

როგორი იყო ლენინის დამოკიდებულება „ავტონომიზაციის“ პროექტისადმი? ვ. ი. ლენინმა და პარტიამ უარყვეს ეს პროექტი.

გაეცნო რა კომისიის მასალებს და სტალინის წერილს, ლენინმა 26 სექტემბერს დაწერა „წერილი ლ. ბ. კამენევს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის“. ლენინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

წევრებს აცნობებდა, რომ იგი ესაუბრა სტალინს იმ რეზოლუციის თაობაზე, რომელიც შეადგინა კომისიამ დამოუკიდებელი რესპუბლიკების რსფს რესპუბლიკაში შესვლის შესახებ (ლაპარაკია „ავტონომიზაციის“ პროექტზე — გ. ე.).[1] ლენინი პოლიტბიუროს წევრებს ატყობინებდა აგრეთვე შემდეგს: „ხვალ ვნახავ მდივანს (ქართველი კომუნისტია, „დამოუკიდებლოსნობაში“ ეკვმიტანილი)“.[2] სიტყვა „დამოუკიდებლოსნობა“ ბრჭყალებში ტყუილად როდია ჩასმული. საქმე ის არის, რომ ლენინი სრულიადაც არ თვლიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა გამოსვლას „ავტონომიზაციის“ წინააღმდეგ იმის ცდად, რომ მოეხდინათ საქართველოს იზოლაცია საბჭოთა რუსეთისაგან, სხვა ხალხებისაგან.

შემდეგ, ეხებოდა რა სსრ კავშირის შექმნის, როგორც არქიმნიშვნელოვან საკითხს, ლენინი წერდა: „სტალინს, ეტყობა, ცოტა ეჩქარება... მთავარია სათქმელი არ მივცეთ „დამოუკიდებლოსნებს“, არ ვსპობდეთ მათს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა ს, არამედ ვქმნიდეთ... თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ი რესპუბლიკების ფედერაციას“.[3]

სიტყვებში: „არ ვსპობდეთ მათს დამოუკიდებლობას“ ვ. ი. ლენინი გულისხმობდა რეზოლუციის პროექტს „დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან რსფს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 42, გვ. 482-483.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ", რომელიც ფაქტიურად გამორიცხავდა დამოუკიდებელი რესპუბლიკების არსებობას. სწორედ ამიტომ ილაშქრებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა „ავტონომიზაციის" წინააღმდეგ. ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ისინი „ნაციონალ-უკლონისტებად" მონათლეს.

ლენინის აღნიშნული წერილი შეიცავდა მთელ რიგ არსებით შენიშვნებსა და წინადადებებს „ავტონომიზაციის" პროექტის მიმართ. ვ. ი. ლენინმა ფაქტიურად წარმოადგინა ადრინდელი პროექტისაგან პრინციპულად განსხვავებული საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტი. „ეს ჩემი წინასწარი პროექტია. მდივანთან და სხვ. ამხანაგებთან საუბრების საფუძველზე დავუმატებ და შევცვლი",[1] — ამ სიტყვებით მთავრდება წერილი პოლიტბიუროს წევრებისადმი.

და, მართლაც, მეორე დღეს, 27 სექტემბერს, ლენინი შეხვდა ბ. მდივანს, ხოლო 29 სექტემბერს — მ. ოკუჯავას, ლ. დუმბაძეს და კ. ცინცაძეს. ორივე შემთხვევაში საუბრის მთავარი შინაარსი იყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი.

„ავტონომიზაციის" პროექტზე ლენინის შენიშვნებთან დაკავშირებით სტალინი 27 სექტემბერს სწერს წერილს ლენინსა და პოლიტბიუროს წევრებს: ზინოვიევს, კალინინს, კამენევს, მოლოტოვს, რიკოვს, ტომსკის, ტროცკის (პასუხი ამხ. ლენინის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 42, გვ. 484.

წერილზე ამხ. კამენევისადმი). ერთ შენიშვნასთან დაკავშირებით სტალინი ლენინის პოზიციას აფასებს როგორც „ეროვნულ ლიბერალიზმს“.

მდივანთან და საქართველოს კომპარტიის სხვა წევრებთან საუბრის შემდეგ ვ. ი. ლენინმა აუცილებლად მიიჩნია ახალი დამატებანი შეეტანა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტში, რომელიც უნდა განეხილათ 6 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. მაგრამ ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ლენინს არ შეეძლო დასწრებოდა პლენუმს, იგი ბარათს სწერს ლ. ბ. კამენევს. ეს ბარათი მოკლეა, სულ ცხრა სტრიქონისაგან შედგება, მაგრამ მასში დაყენებულია დიდი, პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

ლენინის ბარათის პირველი აბზაცი იწყება ასე: „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი განვთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე საღი კბილებით დავგლეჯ მას“.[1]

ვფიქრობ, ამ სტრიქონებში არაფერია გაუგებარი. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი სრულიად უკომპრომისოდ იბრძოდა როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, და ასეთი მტკიცე გამოთქმა ამ საკითხზე პლენუმის მუშაობის დაწყების დღეს შემთხვევითი არ იყო. „ავტონომიზაციის“ პროე-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 438.

ქტში ლენინი ხედავდა დიდმპყრობელური შოვინიზმის რეციდივის გამოვლენას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ლენინის ბარათის მეორე, უკანასკნელი, აბზაცი, სადაც იგი სრულიად გადაჭრით აყენებს საკითხს, რომ სსრ კავშირის შექმნის შესახებ რეზოლუციის პროექტში შეეიდეს შემდეგი დებულება: „საჭიროა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დაჯინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ო ბ დ ნ ე ნ
რუსი
უკრაინელი
ქართველი და სხვ.
ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ!“[1]

ეს სტრიქონები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გარანტიებს.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის შექმნის იდეა. პლენუმზე ლენინის პროექტს სრულიად ძალდაუტანებლად, უყოყმანოდ ხმა მისცა ბუდუ მდივანმაც, რომელსაც „ნაციონალ-უკლონიზმის“ ლიდერს უწოდებდნენ.

ამრიგად, ლენინის პრინციპულმა ბრძოლამ „ავტონომიზაციის“ გეგმის წინააღმდეგ ისტორი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 438.

ული საქმე გააკეთა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ლენინი სსრ კავშირის შექმნის სული და გულია.

პლენუმის მესამე დღეს, 8 ოქტომბერს, ბ. მდივანი თბილისში წერილს უგზავნის ს. ქავთარაძეს, რომელშიც ატყობინებს: „თაედაპირველად (ულენინოდ) ჩვენ დერჟიმორდულად გვირტყამდნენ, აბუჩად გვიგდებდნენ, შემდეგ კი, როცა ლენინი ჩაერია, მასთან ჩვენი შეხვედრის მერე და მივაწოდეთ დაწვრილებითი ინფორმაცია, საქმე კომუნისტური გონიერებისაკენ მობრუნდა... ურთიერთობის საკითხში მიღებულია ნებაყოფლობითი კავშირი თანასწორობის საფუძველზე და ყოველივე ამის შედეგად ჩვენ წინააღმდეგ დახუთული ატმოსფერო გაიწმინდა; პირიქით, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავს დაესხნენ დიდმპყრობელებს — სწორედ ასე ამბობდნენ ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი და სხვები. პროექტი, რა თქმა უნდა, ლენინს ეკუთვნის, მაგრამ ის შეიტანეს სტალინის, ორჯონიკიძის და სხვების სახელით, რომლებმაც მაშინვე იცვალეს ფრონტი... კამათმა ცხადყო, რომ ცენტრალური კომიტეტის გარკვეული ნაწილი პირდაპირ უარყოფს ეროვნული საკითხის არსებობას და მთლიანად მიჰყვება დიდმპყრობელურ ტენდენციებს. მაგრამ ამ ნაწილს ისეთი სილა გააწნეს, რომ დიდხანს ვერ გაბედავს ცხვირი გამოყოს სოროდან. სადაც იგი ლენინმა შეაძვრინა (მის განწყობილებას შეიტყობ მის, იმ წერილიდან, რომელიც გამოაქვეყნეს სხდომის დასასრულს,

საკითხის გადაწყვეტის შემდეგ). იცოდე, არ დაკარგო წერილი, ძლივს გამოვთხოვე კამენევს... ატმოსფერო ოდნავ გაიწმინდა, მაგრამ შეიძლება ისევ დაიძაბოს...".

შემდგომ მართლაც ასე მოხდა.

4. ბრძოლა უფრო შეურიგებელი ხდება

სსრ კავშირის შექმნით პარტიამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ თავისი ეროვნული პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში.

ლენინის გენიალური პროექტი, რომელიც დაამტკიცა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღო „განუხრელი ხელმძღვანელობისათვის“.[1] ამასთან ერთად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს ჰქონოდა შესაძლებლობა უკრაინისა და ბელორუსიის მსგავსად უშუალოდ შესულიყო სსრ კავშირის შემადგენლობაში.[2] ვფიქრობთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პოზიციაში არაფერია პარტიის ეროვნული პოლიტიკის საწინააღმდეგო. იმ პირობებში, როცა რეალურად ხორცი შეესხა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის ახალ, უფრო სრულყოფილ ფორმებს, ამიერკავკასიის ფედერაციის არსებო-

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32. ფურც. 73.

[2] იქვე.

ბა არ იყო მაინცდამაინც აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ეს დამატებითი ბარიერი ერთგვარად ზღუდავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფლებებს უკრაინასა და ბელორუსიასთან შედარებით.

მაგრამ, ამის მიუხედავად, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 17 ოქტომბერს უარყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ, ამასთან კვლავ ხაზი გაუსვა იმ აუცილებლობას, რომ იგი კავშირში შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. ამას მოჰყვა ს. ორჯონიკიძის მთელი რიგი დაუშვებელი გამოსვლები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ძველი მუშაკების წინააღმდეგ. იგი ხშირად ლანძღავდა ცალკეულ ხელმძღვანელებს, ემუქრებოდა რეპრესიებით, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ე. ი. პირველი საბჭოთა მთავრობის, თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს „უმაქნის თავმჯდომარეს“ უწოდებდა,[1] ლ. დუმბაძეს—„სულელსა და პროვოკატორს“,. ბუდუ მდივანს — „სპეკულანტს, მედუქნეს“.[2] ორჯონიკიძე საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს კ. ოკუჯავას დაემუქრა: „დაგაპატიმრებ, დაგხვრეტ“.[3]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-

---

[1] მლიკპა, ფ. 5, აღწ. 2. საქ. 32. ფურც. 32.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 75.

[3] ი ქ ვ ე, ფურც. 66.

ტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი პასუხისმგებელ მუშაკთა ერთ-ერთ კრებაზე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას „არამზადათა ორგანიზაციას“ უწოდებს. 1922 წლის 20 სექტემბერს პლენუმის სხდომაზე ორჯონიკიძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ „პარტიის მეთაურობა შოვინისტური და დამპალია, რომელიც უნდა განახლდეს“.[1]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელის გასატეხად საღებავებს არ იშურებდა ბ. ლომინაძე, რომელიც შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა. იგი მათ უწოდებდა „ნაციონალ-კომუნისტებს, რომლებიც მენშევიკებისაკენ გადაიხარნენ და ობიექტურად წვრილი ბურჟუაზიის პოზიციას იცავდნენ“.[2]

(ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები აღებულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მასალებიდან).

ყოველივე ამის შედეგად ურთიერთობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. 20 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინისათვის გადასცა ბარათი, რომელშიც ნათქვამია იმ დევნის შესახებ, რასაც ისინი განიცდიდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კო-

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 75.

[2] იქვე.

მიტეტისა და განსაკუთრებით ორჯონიკიძის მხრივ.

„გამოუვალი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა აქ. საქართველოში, — ამბობდნენ ისინი. — გვაიძულებს შეგაწუხოთ თქვენ. გთხოვთ ყოველივე ქვემოაღნიშნული გადასცეთ ამხ. ლენინს: დარწმუნებული ვართ, რომ მისი და თქვენი აბსოლუტური გადაწყვეტილება ბოლოს მოუღებს იმ ანარქიასა და ნგრევას, რაც ახლა კატასტროფულ ხასიათს იღებს. ორჯონიკიძის თავნებობას არავითარი საზღვარი არა აქვს. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საკითხთან დაკავშირებით მთელ რესპუბლიკაში დაიწყო ფართო კრებები. 19 ოქტომბერს გაიმართა პასუხისმგებელ ამხანაგთა კრება, იგი მოიწვია თბილისის კომიტეტის ბიურომ, რომელზედაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, გამოთქვა სურვილი, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღძრულიყო შუამდგომლობა — გადაესინჯა პუნქტი კავშირში ამიერკავკასიის ფედერაციის შესვლის შესახებ იმ აზრით, რომ დებულება უკრაინისა და ბელორუსიის შესახებ გავრცელებულიყო საქართველოსა და აზერბაიჯანზეც განსაკუთრებული პოლიტიკური პირობების გამო. ეს გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ძველი მუშაკების წინააღმდეგ ორჯონიკიძის უაღრესად შეუწყნარებელი გამოსვლების, ქუჩური გინებისა და ულმობელი რეპრესიებით მუქარის საბაბი. დღეს, 20 ოქტომ-

ბერს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, ორ-ჯონიკიძის მეთაურობით, უკვე შეუდგა განადგურებას, დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტით. ავტორიტეტული ამბანაგი ოკუჯავა მოიხსნა ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტიდან და გაგდებულია პრეზიდიუმიდან. იგივე ემუქრება ყველას, რაც საქვეყნოდ განაცხადა ორჯონიკიძემ".[1]

„ჩვენ იმ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული, — ნათქვამია წერილში, — როცა პასუხისმგებლობას ველარ ვიკისრებთ. ამიტომ სხვა გამოსავალი ვერ ვნახეთ და გადაეწყვიტეთ ხვალ, 21-ში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განეაცხადოთ ეს".[2]

მართლაც, 21 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი რიკოვი. პლენუმმა მიიღო პრეზიდიუმის წინადადება, რომ იგი იხსნიდა უფლებამოსილებას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხაზთან მისი ხაზის შეუთანხმებლობის გამო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთი მოტივით ხსნიდა თავის გადადგომას: „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ფაქტიური უნდობლობა საქართველოს ცენტრალური კომიტეტისადმი,

---

[1] მლიკა. ფ. 5, აღწ. 2, ს. 32. ფურც. 75.

[2] იქვე.

რომელიც გაღრმავდა ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყველა წევრის სისტემატური დევნით".

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძირითადი ხელმძღვანელი ბირთვი იძულებული გახდა გადამდგარიყო 1922 წლის 22 ოქტომბერს. ეს, რა თქმა უნდა, უკიდურესი ნაბიჯი იყო. მაგრამ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი არ ცდილა მოეწესრიგებინა კონფლიქტი, პირიქით, დაუყოვნებლივ, იმავე დღეს, გადაწყვიტა მიეღო გადადგომა და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს შესთავაზა ახალი შემადგენლობა,[1] ხოლო 26 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.[2]

გადადგომის დღეს, 22 ოქტომბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ლენინისაგან იღებს დეპეშას 20 ოქტომბერს პირდაპირი მავთულით გაგზავნილი ბარათის პასუხად, მასში ნათქვამია:

„გაოცებული ვარ პირდაპირი მავთულით მიღებული იმ ბარათის უხამსი ტონით, რომელიც ხელმოწერილია ცინცაძისა და სხვების მიერ და რატომღაც გადმომცა ბუხარინმა და არა ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა უთანხმოება ამოწურული იყო ცეკას პლენუმის იმ რეზოლუციებით, რომელშიც არაპი-

---

[1] მლიცკა. ფ. 5. აღწ. 2. ს. 32. ფურც. 33.

[2] ი ქ ვ ე. ფურც. 39.

·რდაპირ ვმონაწილეობდი მე და პირდაპირ მონა-
'წილეობდა მდივანი. ამიტომ გადაკრით ვგმობ ორ-
ჯონიკიძის მიმართ გამოთქმულ ლანძღვა-გინებას
და დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენი კონფლიქ-
ტი წესიერი და ლოიალური ტონით გადაეცეს გა-
დასაკრელად რკპ ცენტრალური კომიტეტის სამ-
დივნოს. რომელსაც გადაეგზავნა კიდეც პირდაპი-
რი მავთულით მიღებული თქვენი ცნობა".[1]

სამწუხაროდ, ლენინის დეპეშის ტექსტიდან ზოგიერთ ისტორიკოსს ის დასკვნა გამოაქვს, თითქოს ლენინი გმობდა ბუდუ მდივნისა და მისი მომხრეების პრინციპულად არასწორ პოზიციას ეროვნულ საკითხში, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. ლენინი პროტესტს გამოთქვამდა მხოლოდ იმის გამო, რომ პირდაპირი მავთულით გადაცემული ბარათი შეიცავდა „ორჯონიკიძის წინააღმდეგ ლანძღვას".

ამასთან ერთად ლენინის დეპეშიდან ჩანს, რომ იგი სწორად არ იყო ინფორმირებული ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ. ამას ნათლად მოწმობს ის მზრუნველი ყურადღება, რაც ლენინმა გამოავლინა შემდგომ თვეებში ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტების" მიმართ.

ლენინის დეპეშასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამდგარი ხელმძღვანელობა — მახარაძე, ქავ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 45, გვ. 722.

თარაძე, ცინცაძე, დ. დუმბაძე, საბაშვილი, ოკუჯავა, ტოროშელიძე, ეშბა, თოდრია — 25 ოქტომბერს წერილს უგზავნის სტალინს ვლადიმერ ილიას ძისთვის გადასაცემად. წერილში გამოხატულია ჰეშმარიტი სინანული იმის გამო, რომ ლენინს აწყენინეს დეპეშის მწვავე კილოთი, განმარტებულია, რომ ეს მათ აიძულა მეტისმეტად დაძაბულმა ურთიერთობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის ამხ. ორჯონიკიძის სახით. წერილში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა „სავსებით" იზიარებდა რკპ(ბ) ცენტრარული კომიტეტის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც გამოტანილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 21 ოქტომბრის ერთხმად მიღებული დადგენილება. შემდეგ წერილში აღნიშნულია: „ჩვენ შევიტანეთ უმნიშვნელო შესწორება — ვთხოვეთ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს გადაესინჯა კავშირში რესპუბლიკის შესვლის საკითხი არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს თავისი ცაკი და სახკომსაბჭო, არამედ ცალკე... ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ამ ჩვენს შუამდგომლობაში დაინახა პარტდისციპლინის დარღვევა და გაგვკიცხა".[1]

და შემდეგ წერილში ლაპარაკია იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს კონფლიქტი ამიერ-

---

[1] მლიცპა. ფ. 5. აღწ. 2. ს. 26. ფურც. 35.

კავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის. „სამწუხაროდ. ურთიერთობა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის, — ნათქვამია წერილში, — „უკიდურესად“ გამწვავდა იმ ნიადაგზე, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სრულიად არ ენდობა და სახელს უტეხს, შეუწყნარებლად შეურაცხყოფს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თითქმის მთელ შემადგენლობას. რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობით ცდილობდა ადგილობრივ რთულ ვითარებაში განეხორციელებინა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თქვენ მიერ დასახული გეზი, რასაც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი თელიდა აშკარა გადახრად კომუნიზმიდან შოვინიზმისა და მენშევიზმისაკენაც კი. ასეთ ბრალდებას უაღრესად უხეში ფორმით უყენებდა ორჯონიკიძე პარტიის უხუცეს წევრებს“.[1]

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომის შემდეგ ბრძოლა მისი ყოფილი წევრების წინააღმდეგ კიდევ უფრო მწვავე და უხეშ ხასიათს იღებს.

მრავალი „მამხილებელი“ წერილი ვაუგზავ-

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 26. ფურც. 28.

ნეს ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტმა. პირადად ორჯონიკიძემ და ორახელაშვილმა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ლენინს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ორჯონიკიძის წერილი ლენინის სახელზე, გაგზავნილი 27 ოქტომბერს. ორჯონიკიძის წერილში ნათქვამია, რომ მისი „ღრმა რწმენით, ამხანაგების ეს ჯგუფი (ლაპარაკია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამდგარ შემადგენლობაზე. — გ.ჟ.) სრულიად აშკარად მოექცა ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენციის გავლენაში", რომ „მათი წასვლა მხოლოდ გააჯანსაღებს პარტიას და დაგვეხმარება დავამყაროთ ნამდვილი კეთილმეზობლური ურთიერთობა სომხებსა და აზერბაიჯანელებთან". ორჯონიკიძის აზრით, „მათი პოლიტიკა, თუ იგი გაიმარჯვებს, მიგვიყვანს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების სრულ გაკოტრებამდე. ეროვნული მშვიდობის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. მდივან — მახარაძის პოლიტიკა კი მებრძოლი ქართული ნაციონალიზმის პოლიტიკაა".[1]

შემდეგ ორჯონიკიძე წერს, რომ „მათი გადადგომა არ არის საშიში. ეს ქარიშხალია ჭიქა წყალში. ნუ წუხხართ, ამ ნიადაგზე არავითარი აჯანყება არ მოხდება. პარტიაში იქნება მცირე კინკლაობა, მაგრამ ეს საშიში არ არის, იხმაურებენ, იყეფებენ და გაჩუმდებიან. თბილისში ისინი და-

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 26, ფურც. 28.

მარცხებული არიან. პროვინციაში ამხანაგები გავგზავნეთ. ყველაფერს გავაკეთებთ". წერილის ბოლოს ორჯონიკიძე წინადადებას იძლევა: „მოგვიხდება მოვაშოროთ აქედან მახარაძე, ქავთარაძე, მდივანი, ისინი ხეირს არ დაგვაყრიან".[1]

ეს წერილი ნათლად ასახავს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის აშკარად სუბიექტივისტური ხასიათის ბრძოლას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც მან „ნაციონალ-უკლონისტებად" მონათლა.

9 ნოემბერს ორჯონიკიძე რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებს, რომ „აუცილებელია მახარაძე, ცინცაძე და ქავთარაძე მოსკოვში გაიწვიონ, ვინაიდან ისინი ქმნიან თავიანთ ფრაქციას".[2]

11 ნოემბერს ორჯონიკიძის წინადადებით ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია გადაჭრით გმობს საქართველოს კომპარტიის მესვეურთა გადახრას, გმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომას ხელმძღვანელი პოსტიდან პასუხსაგებ მომენტში.

ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების" წინააღმდეგ ბრძოლაში მალე ჩაება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობაც, რომელიც შეიქმნა ძველი შემადგენლობის გადადგომისთანავე. საქართველოს კომპარტიის ცე-

---

[1] მლიქაა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 26, ფურც. 29.

[2] იქვე, ფურც. 19.

ნტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აკრძალეს ყოველგვარი დისკუსია უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბების შესახებ, მაგრამ თვითონ დაიწყეს გაშმაგებული აგიტაცია ძველი ცენტრალური კომიტეტის მომხრეთა წინააღმდეგ, ამასთან მიმართეს დაშინებასა და რეპრესიებს. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში შეიქმნა აუტანელი მდგომარეობა, რაც დაშლისა და დეზორგანიზაციის საფრთხეს ქმნიდა.

1922 წლის 14 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა პასუხისმგებელ მუშაკთა გადადგომის საკითხი. დადგენილებაში ნათქვამია: „ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს: გადამდგართა უმეტესობა, წავიდა რა საპასუხისმგებლო სამუშაოდან, დაადგა შეურიგებელი წინააღმდეგობის გზას ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის მუშაობასთან, რომლის მიზანია განახორციელოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები".[1]

დადგენილებაში აღინიშნა: „ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს მოგვაცილოს ამ ანტიპარტიული მუშაობის ყველა ხელმძღვანელი, რომლებიც შლიან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს".[2] პლენუმის დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა 18 ნოემბერს.

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 26. ფურც. 37.

[2] იქვე, ფურც. 38.

სტალინის მითითებით ეს დოკუმენტი დაეგზავნათ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საორგანიზაციო ბიუროს ყველა წევრს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 14 ნოემბრის დადგენილების პასუხად მახარაძე, მდივანი და სხვები რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს უგზავნიან წერილს, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტი და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი პარტიული დისციპლინის ალმით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით ულმობლად უსწორდებიან და ულმობლად თრგუნავენ როგორც პარტიის მთელ ორგანიზაციებს, ისე მის ცალკეულ წევრებს. გასახლებითა და პარტიიდან გარიცხვის მუქარითაც კი ისინი აშინებენ ყველა ორგანიზაციას იმიტომ, რომ ყრილობაზე გაიყვანონ ისეთი პირები, რომლებიც ხელს აუწევენ, ხმას მისცემენ მათ".[1] ისინი სთხოვდნენ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაენიშნა კომისია საქმის გამოსაძიებლად.

24 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო იღებს დადგენილებას, რომ დაინიშნოს კომისია ასეთი შემადგენლობით: ფ. ე. ძერჟინსკი, ლ. ს. სოსნოვსკი და ვ. ს. მიცკევიჩი. იმავე დღეს ლენინი კენჭისსაყრელად ღებულობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებას. ლენინი ესაუბრება სრულიად რუსეთის ცაკის

---

[1] მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 26, ფურც. 40.

პრეზიდიუმის წევრს და მდივანს ა. ს. ენუქიძეს და ეკითხება, რა აზრისაა იგი, — საკმაოდ ავტორიტეტულია თუ არა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიერ დანიშნული კომისია. ცნობილი არ არის, რა უპასუხა ენუქიძემ, მაგრამ ვიცით ერთი რამ: ლენინი დადგენილებაზე აწერს: „თავს ვიკავებ, ლენინი“.

მოგვიანებით, რკპ(ბ) XII ყრილობაზე, ენუქიძე, ეხებოდა რა რკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიის შემადგენლობის საკითხს, ასე იმართლებდა თავს: „ლენინმა მაშინ სპეციალურად მკითხა: „თქვენი აზრით, კომისია შესაფერისია?“ მე გულწრფელად ვუპასუხე და ახლაც ვადასტურებ, რომ კომისია მეტად შესაფერისი და ავტორიტეტული იყო“. შემდეგ „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ლენინის წერილთან დაკავშირებით ენუქიძე ამტკიცებდა: „...მე მგონია, ამხ. ლენინი ცალმხრივი, არასწორი ინფორმაციის მსხვერპლი გახდა“. კვლავ ეხებოდა რა ამ საკითხს, ენუქიძე ყრილობაზე ამბობდა: „მე მაინც ვამტკიცებ, რომ ამხ. ლენინი თავისი წერილის დეტალებში არასწორი ინფორმაციის მსხვერპლი გახდა“.[1]

რა შეიძლება ითქვას ყრილობაზე ენუქიძის გამოსვლიდან მოყვანილი სტრიქონების შესახებ?

ჯერ ერთი, მეტად საეჭვოა, იგი ყრილობაზე

---

1 რკპ(ბ) XII ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. მ., 1968, გვ. 590.

ასეთი თამამი განცხადებით გამოსულიყო, მას რომ ლენინი დასწრებოდა.

და. მეორეც. არა გვგონია, ლენინი „არასწორი ინფორმაციის მსხვერპლი“ გამხდარიყო.

1922 წლის 25 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დანიშნა კომისია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის გადამდგარი წევრების განცხადების სასწრაფოდ განხილვისა და საქართველოს კომპარტიის შიგნით ურთიერთობის ნორმალიზაციის ღონისძიებათა შესამუშავებლად. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ფ. ძერჟინსკი, ლ. სოსნოვსკი და დ. მანუილსკი, რომლებიც ნოემბრის დამლევს თბილისში ჩამოვიდნენ.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ ნაჩქარევად. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის ურთიერთობის დაძაბული კონფლიქტური სიტუაციის მიზეზების დეტალური შესწავლის გარეშე. შეადგინა დასკვნა, რომელიც 1923 წლის 13 იანვარს დაამტკიცა საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე. შემდგომ, 25 იანვარს, ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ლენინის დაუსწრებლად.

როგორი იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის დასკვნები?

კომისიის აზრით, „პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ახორციელებდა ჯერ კავბიურო, შემდეგ ამი-

ერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და, კერძოდ, ორჯონიკიძე. სავსებით შეესაბამებოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და სავსებით სწორი იყო".[1]

კომისია თავის დასკვნაში წერდა: „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, კერძოდ, ამბ. ორჯონიკიძის დადანაშაულება იმაში, რომ იგი თითქოს ნაჩქარევად, ზემოდან იყენებდა სამხედრო კომუნიზმის ტაქტიკას ისე, რომ სრულიად ანგარიშს არ უწევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, არ ამზადებდა საზოგადოებრივ აზრს, ახორციელებდა გეზს, რომელიც ხშირად არ ემთხვეოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გეზს, ან სრულიადაც არ ჰქონდა გეზი, — არ შეესაბამება სინამდვილეს".[2]

კომისია აღნიშნავს: „ყველა ძირითად საკითხში, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხში, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მუდამ ატარებდა კამპანიას პარტიული და საბჭოთა წესით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის უმრავლესობა წინააღმდეგობას უწევდა, რითაც უეჭველად ასუსტებდა ამ კამპანიას".[3]

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისია თავის დასკვნაში წერდა, რომ „ამიერკავკასიის სამ-

---

[1] მლიკა. ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 85.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობისათვის „რუსოპეტობის“, საქართველოში ეროვნული საკითხისადმი არასაკმაო ყურადღების, ეროვნული ნიშნით სწორების ბრალდების წაყენება არაფერს არ ემყარება. კომისია აღნიშნავს, რომ ყველა კონფლიქტს „რუსოპეტობის“ და „კოლონიზატორული ტენდენციების“ ნიადაგზე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი განიხილავდა „მთელი ყურადღებით“ და მათ წინააღმდეგ ენერგიულ ზომებს იღებდა.[1]

შემდეგ, ძერჟინსკის კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ „კავბიურო და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, ასრულებდნენ რა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, კერძოდ ამხ. ლენინის, დირექტივებს, ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების, მეტადრე საქართველოს, განსაკუთრებულ პირობებს, სრულიად შეგნებულად თანხმდებოდნენ ზოგიერთ დათმობაზე ნაციონალისტურად განწყობილი მასებისა და ინტელიგენციის მიმართ“.[2]

დ ა ბ ო ლ ო ს, ძერჟინსკის კომისია ასკვნიდა, რომ „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი საერთოდ და მთლიანად სწორად იქცევა, როცა ბრძოლას ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის ხაზის წინააღმდეგ“.[3]

---

[1] მლიკა. ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 86.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 87.

[3] ი ქ ვ ე. ფურც. 88.

პირადად ძერჟინსკი კომისიის სხდომაზე ამბობდა: „მათ („უკლონისტებს“ — გ. ჟ.) ძვალ-რბილში არა აქვთ გამჯდარი კომუნისტობა. გლეხობაში ნაციონალიზმის არსებობის დასაბუთება მაინ ვერ შეძლეს და არც ამის ფაქტები მოუციათ. ნაციონალიზმის პირობებს ისინი თვითონ ქმნიან და ამიტომ პარტიისათვის მეტად საშიშნი არიან“.[1]

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის წევრი მანუილსკი კომისიის სხდომაზე აგრეთვე ამტკიცებდა, რომ „აქ (საქართველოში. — გ. ჟ.) ამხ. მახარაძისა და სხვა მოთავეთა შემდგომი ყოფნა დამღუპველია ჩვენი პარტიისათვის. აუცილებელია მოვხსნათ სათავეში მდგომნი საქართველოს პარტიის გასაჯანსაღებლად და მივცეთ მათ შესაძლებლობა დაძლიონ ატამანშჩინა“.[2]

როგორც მოხსენებიდან, აგრეთვე ძერჟინსკის და მანუილსკის გამოსვლებიდან ჩანს, კომისია ობიექტური არ იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ბრალდება, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წამოუყენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, არ დადასტურდა მტკიცებებით.[3] კომისიამ უყურადღებოდ დატოვა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი საჩივრები კავბიუროს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, მათი ხელმძღვანელებისა და, კერძოდ,

[1] ბლიცპა, ფ. 5. აღწ. 2, ს. 32, ფ. 87.
[2] იქვე, ფ. 88.
[3] იქვე, ფ. 90.

ორჯონიკიძის მისამართით მათი სასტიკი, შეურიგებელი და ხშირად უხეში. აბუჩად ამგდები ხელმძღვანელობის სტილისათვის. კომისიამ უყურადღებოდ დატოვა ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტი, როგორიც იყო ინციდენტი ორჯონიკიძესა და კობახიძეს შორის.[1]

ასე რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ ძერჟინსკის მეთაურობით „კეთილსინდისიერად" შეასრულა სტალინის მითითება და გაამართლა ორჯონიკიძის იმედები. კომისიამ შეძლო „დაესაბუთებინა" ორჯონიკიძის მეთაურობით კავბიუროს და შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გატარებული პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზის სისწორე და საქართველოს პარტორგანიზაციაში „ნაციონალ-უკლონიზმის" არსებობა და მისი როგორც „პარტიისათვის მეტად საშიშის დაგმობის აუცილებლობა".

---

1 მლიკა. ფ. 5. აღწ. 2. ს. 32. ფ. 90.

ს. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი: „მთელი სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეებს“.

ვ. ი. ლენინი თავიდანვე განსაკუთრებით დაინტერესდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მუშაობის შედეგებით. კომისიის წევრების მოსკოვში დაბრუნების დღეს, 12 დეკემბერს, მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა კომისიის თავმჯდომარე ძერჟინსკისთან. ამ საუბრიდან ლენინმა გამოიტანა დასკვნა, რომ კომისიამ თავი ვერ გაართვა დასახულ ამოცანას. აი რას წერდა იგი ამ შეხვედრის თაობაზე წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“: „მე მხოლოდ ის მოვასწარი, რომ ვესაუბრე ამხ. ძერჟინსკის, რომელიც კავკასიიდან ჩამოვიდა და მიამბო, თუ როგორ დგას ეს საკითხი საქართველოში... იმაში, რაც მაცნობა ამხ. ძერჟინსკიმ, რომელიც სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტის მიერ ქართული ინციდენტის „გამოსაკვლევად“ გაგზავნილ კომისიას, მე მხოლოდ ძალიან დიდი სა-

შიშროება დავინახე. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ორჯონიკიძემ შეტოპა და ფიზიკურ ძალადობას მიმართა, რაც ამხ. ძერჟინსკიმ მაცნობა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ჭაობში ჩავცვივდით ჩვენ. ეტყობა, „ავტონომიზაციის" მთელი ეს წამოწყება სრულიად არასწორი და უდროო იყო".[1] შემდეგ ლენინი წერდა: „ვშიშობ აგრეთვე, რომ ამხ. ძერჟინსკიმაც, რომელიც კავკასიაში იყო ამ „სოციალ-ნაციონალების" „დანაშაულობათა" საქმის გამოსაკვლევად, აქ გამოამჟღავნა მხოლოდ თავისი ჰეშმარიტად რუსული განწყობილება... და რომ მთელი მისი კომისიის მიუდგომლობას საკმაოდ ახასიათებს ორჯონიკიძის მიერ „სილის გარტყმა". ვფიქრობ, რომ არავითარი პროვოკაციით, არავითარი შეურაცხყოფითაც კი არ შეიძლება გამართლდეს ეს რუსული სილის გარტყმა და რომ ამხ. ძერჟინსკის გამოუსწორებელი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ იგი ამ სილის გარტყმას ზერელედ მოეპყრო".[2]

და კიდევ. „საჭიროა სამაგალითოდ დაისაჯოს ამხ. ორჯონიკიძე... აგრეთვე დამატებით ან ხელახლა გამოკვლეულ იქნეს ძერჟინსკის კომისიის მთელი მასალა იმისათვის, რომ გამოსწორდეს ის დიდძალი უმართებულობა და მიკერძოებული განსჯა, რაც იქ უეჭველად მოიპოვება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელი ამ ჰეშმარიტად ველიკორუსულ-ნაციონალისტური კამპანიისათვის უნდა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 36, გვ. 688-689.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 690.

დაეკისროთ, რა თქმა უნდა. სტალინსა და ძერჟინსკის".[1]

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ლენინის წერილიდან: „ვფიქრობ, — წერდა ლენინი, — ამ შემთხვევაში. ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპიური მაგალითი, .სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას. ის ქართველი, რომელიც უგულებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალწუნებით წამოისვრის ბრალდებას „სოციალ-ნაციონალიზმში" (მაშინ როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ჭეშმარიტი არა მარტო „სოციალ-ნაციონალი", არამედ უხეში ველიკორუსი დერეიმორდაც), ეს ქართველი, არსებითად, არღვევს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის ინტერესებს, რადგან არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა, და არაფერს ისე მწვავედ არ განიცდიან „შეურაცხყოფილი" ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძნობას და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის სახით, ამ თანასწორობის დარღვევას მათი ამხანაგი პროლეტარების მიერ".[2]

ვ. ი. ლენინი შემდგომ სისტემატურად მოითხოვდა ინფორმაციას რკპ(ბ) ცენტრალური კომი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 36, გვ. 694.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 692-693.

ტეტის პოლიტბიუროს კომისიის მოქმედების შეესებ. სწორედ ამ ინფორმაციამ აღუძრა მას ეჭვი კომისიის კეთილსინდისიერებაში. ამიტომ მისი ინიციატივით იქმნება სპეციალური კომისია „საქართველოს საკითხის“ შესწავლისათვის. მის შემადგენლობაში შევიდნენ ნ. პ. გორბუნოვი, ლ. ა. ფოტიევა და მ. ი. გლიასერი.

უკვე 1923 წლის 24 იანვარს ვ. ი. ლენინი იძახებს სახკომსაბჭოს მდივანს, კომისიის წევრს ლ. ა. ფოტიევას და ავალებს მოსთხოვოს ფ. ე. ძერჟინსკის ან ი. ბ. სტალინს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მასალები, კომისიისა, რომელმაც გაარჩია კონფლიქტი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრების ჯგუფს შორის, დეტალურად შეისწავლოს ეს მასალები მ. ი. გლიასერთან და ნ. პ. გორბუნოვთან ერთად და შედეგები მოახსენოს მას. ლენინი ფოტიევას ეუბნება, რომ „ეს მასალები აუცილებლად სჭირდება პარტიის XII ყრილობისათვის წერილის მოსამზადებლად“.[1]

მეორე დღეს, 25 იანვარს, ვ. ი. ლენინი ლ. ა. ფოტიევას ეკითხება, მიიღო თუ არა „საქართველოს საკითხზე“ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მასალები. ფოტიევა ლენინს აცნობებს, რომ ამ მასალებს ძერჟინსკის

---

[1] ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ბიოგრაფიული ქრონიკა, ტ. 12, გვ. 568-569.

ჯერ ვერ მოსთხოვს, ვინაიდან იგი თბილისიდან მხოლოდ შაბათს, 27 იანვარს, ჩამოვა.[1]

ლენინის დავალებით 27 იანვარს ფოტიევა ძერჟინსკის ეკითხება „საქართველოს საკითხზე" რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მასალების შესახებ. ფოტიევა ძერჟინსკისაგან იგებს, რომ მთელი მასალები სტალინთან არის.

იმავე დღეს ლენინის დავალებით ნ. პ. გორბუნოვი, ლ. ა. ფოტიევა და მ. ი. გლიასერი მიმართავენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, ი. ბ. სტალინს წერილობითი თხოვნით, რომ გასცეს განკარგულება, რათა მათ გარკვეული ვადით დაუთმონ „საქართველოს საკითხზე" ცენტრალური კომიტეტის კომისიის მთელი მასალები დეტალური შესწავლისათვის.[2]

29 იანვარს სტალინი ფოტიევას ურეკავს, რომ მასალებს ვერ მისცემს პოლიტბიუროს გარეშე. იმავე დღეს სტალინის პასუხი მოხსენდა ლენინს. ამის თაობაზე ფოტიევასთან საუბარში მან თქვა, რომ იბრძოლებდა მასალების მიღებისათვის. 30 იანვარს ლენინი იძახებს ფოტიევას, კვლავ ეხება „საქართველოს საკითხს" და, როგორც ფოტიევამ ჩაიწერა, ამბობს: „ეს ხომ გაზეთები არ არის, ...ახლაც შემიძლია ვიკითხო".[3]

1 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 555.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 556-557.

ტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ლ. ბ. ფოტიევას, მ. ი. გლიასერის და ნ. პ. გორბუნოვის განცხადება თხოვნით, რომ მათთვის მიეცათ „საქართველოს საკითხზე“ კომისიის მასალები ლენინის დავალებით შესასწავლად. პოლიტბიუროს გამოაქვს გადაწყვეტილება: „ა) ნება დაერთოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გასცეს მასალები. ბ) ამხ. ლენინისათვის შედეგების მოხსენება გადაიდოს პროფ. ფერსტერის დასკვნამდე“.[1]

იმავე საღამოს ფოტიევა ლენინს ატყობინებს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას, რომ სახკომსაბჭოს სამდივნოს გადაეცეს „საქართველოს საკითხზე“ კომისიის მასალები. ლენინი ფოტიევას აძლევს მითითებას, რას მიაქციოს ყურადღება ამ მასალების გარჩევისას, რა საკითხებზე მიიღოს პასუხები საერთოდ მათი შესწავლისას, როგორ გამოიყენოს ისინი.

ლენინს უწინარეს ყოვლისა აინტერესებდა: 1) რატომ სდებდნენ ბრალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უკლონიზმში. 2) რაში ედებოდათ მათ ბრალი როგორც პარტიული დისციპლინის დამრღვევებს... 3) რა ბრალს სდებდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დათრგუნვაში. 4) დათრგუნვის ფიზიკური საშუალებანი („ბიომექანიკა“). 5) ცენტრალური კომიტეტის ხაზი (ლაპარაკია რკპ(ბ) შესახებ

---

[1] მლიტპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 36.

– გ. ჟ.) ვლადიმერ ილიას ძის ყოფნისას და არყოფნისას. 6) კომისიის დამოკიდებულება. განიხილა თუ არა კომისიამ ბრალდებანი მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ თუ აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგაც? განიხილა თუ არა მან ბიომექანიკის საკითხი?.[1]

ლენინმა ფოტიევას უთხრა: „მე რომ თავისუფალი ვიყო (ჯერ წამოსცდა, შემდეგ სიცილით გაიმეორა: მე რომ თავისუფალი ვიყო), ყველაფერ ამას ადვილად მოვუვლიდი“.[2]

უკვე 3 თებერვალს ლენინი იძახებს ფოტიევას და ეკითხება, გასინჯეს თუ არა მასალები. აი როგორ აღწერს ამ შეხვედრას ფოტიევა: „მე ვუპასუხე, რომ მხოლოდ ზერელედ და რომ ისინი ძალზე ცოტა აღმოჩნდა, როგორც ვვარაუდობდით. მკითხა, იყო თუ არა ეს საკითხი პოლიტბიუროზე. მე ვუპასუხე, რომ უფლება არა მაქვს ამაზე ვილაპარაკო“. მკითხა: „თქვენ სწორედ და სპეციალურად ამაზე აგიკრძალეს ლაპარაკი?“ „არა, საერთოდ მე არა მაქვს უფლება ვილაპარაკო მიმდინარე საკითხებზე“. „მაშასადამე, ეს მიმდინარე საკითხია?“ „მიეხვდი, რომ დაუდევრობა ჩავიდინე. გავიმეორე, ლაპარაკის უფლება არა მაქვსმეთქი“. მითხრა: „ამ საქმის შესახებ ვიცი ჯერ კიდევ ძერჟინსკამდე, ჩემს ავადმყოფობამდე. კო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 727.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 557.

მისიამ პოლიტბიუროში გააკეთა მოხსენება?" „დიახ. გააკეთა, პოლიტბიურომ საერთოდ დაამტკიცა კომისიის გადაწყვეტილება, რამდენადაც ვიცი". მითხრა: „აბა, მე მგონია, თქვენს რედაქციას გააკეთებთ სამიოდე კვირის შემდეგ, მაშინ წერილით მოგმართავთ".[1]

მესამე დღეს, 5 თებერვალს, ლენინი გლიასერს ეკითხება, ესწრებოდნენ თუ არა „საქართველოს საკითხზე" რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მასალების განხილვას და რა ვადაში აპირებენ ამ მუშაობის დამთავრებას. 7 თებერვალს ლენინი კვლავ ეკითხება ფოტიევას, რა მდგომარეობაშია „საქართველოს საკითხზე" პოლიტბიუროს კომისიის მასალების შესწავლა, როდის დამთავრდება იგი.[2]

14 თებერვალს ლენინი ესაუბრება ფოტიევას და, როგორც მისი დღიურიდან ჩანს, სთხოვს დაეჩქარონ ყველა მისი დავალების შესრულება, „განსაკუთრებით დაწვრილებით იმისა, რომელიც მას ყველაზე მეტად აღელვებს, ე. ი. „საქართველოს საკითხი". მისცა ზოგიერთი მითითება. ფოტიევამ ჩაიწერა შემდეგი: „ვლადიმერ ილიას ძის მითითებანი: გადაკვრით ვუთხრა სოლცს (ა. ა. სოლცი — რკპ(ბ) ცენტრალური კონტროლის კომისიის პრეზიდიუმის წევრი. — გ. ჟ.), რომ იგი (ვ. ი. ლენინი. — გ. ჟ.) განაწყენებულთა მხარეზეა. რომე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ. 558.
[2] იქვე, გვ. 560.

ლიმე განაწყენებულს ვაგრძნობინო, რომ იგი მათს მხარეზეა.

3 მომენტი: 1. არ შეიძლება ჩხუბი. 2. საჭიროა დათმობანი. 3. არ შეიძლება დიდი სახელმწიფო შევადაროთ პატარას.

იცოდა თუ არა სტალინმა? რატომ არ რეაგირებდა? სახელწოდება „უკლონისტები“ შოვინიზმისა და მენშევიზმისაკენ გადახრისათვის დიდმპყრობელთა სწორედ ამ გადახრას ამტკიცებს“.[1]

16 თებერვალს ლენინის დავალებით კომისიის წევრები გორბუნოვი, ფოტიევა და გლიასერი რკპ(ბ) ცენტრალური კონტროლის კომისიის წევრს ა. ა. სოლცს წერილით სთხოვენ გადასცეს მათ როგორც საქართველოს კონტროლის კომისიისაგან მიღებული, ისე სხვა, ცენტრალური კონტროლის კომისიაში არსებული მთელი მასალები, რომლებიც ეხება „საქართველოს კონფლიქტს“.[2]

22 თებერვალს ლენინის დავალებით გორბუნოვი, ფოტიევა და გლიასერი წერილს უგზავნიან ორჯონიკიძეს, რომელშიც ნათქვამია:

„ამხანაგო ორჯონიკიძე,

ამხანაგმა ლენინმა დაგვავალა ჩვენ (გორბუნოვს, ფოტიევას და გლიასერს) მისთვის მოსახსენებლად შევისწავლოთ ყველა არსებული მასალა საქართველოს საკითხზე.

მოგმართავთ თხოვნით, თუ თქვენ საჭიროდ

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 729.

2 ფ ო ტ ი ე ვ ა ლ. ა. ვლადიმერ ილიას ძის ცხოვრებიდან. გვ. 313 (რუს).

სცნობთ, ვლადიმერ ილიას ძისათვის წერილობითი განმარტება მოგვცეთ სამ პუნქტზე:

1. — ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდა თქვენსა და ამხ. კობახიძეს შორის.

2. — ამხ. ოკუჯავას წერილი.

3. — ამხ. კობახიძის წერილი.

ორ უკანასკნელ წერილს ვურთავთ. ისინი გადაწერილია ერთ ეგზემპლარად. გთხოვთ ახსნა-განმარტება დაწეროთ ამ წერილების უკანა მხარეს ან ყოველ შემთხვევაში დააბრუნოთ ისინი".[1]

პირველ საკითხზე ორჯონიკიძემ იმავე დღეს უპასუხა: „რაც შეეხება ინციდენტს კობახიძესთან, მე შემოგთავაზებდით შეეკითხოთ ცენტრალური კონტროლის კომისიას და ამხ. რიკოვს, ამ ინციდენტის შემსწრეს, — ასე უფრო ობიექტური იქნება".[2]

აი რას სწერდა ამ ინციდენტის თაობაზე რსფსრ სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. რიკოვი რკპ(ბ) ცენტრალური კონტროლის კომისიას:

„თბილისში ამხ. ორჯონიკიძის ბინაზე ჩემი იქ ყოფნისას მოხდა შემდეგი ინციდენტი:

ჩემთან შესახვედრად ამხ. ორჯონიკიძის ბინაში მოვიდა რკ პარტიის წევრი და ჩემი მეგობარი ციმბირში გადასახლებიდან აკაკი კობახიძე. საერთო საუბრის დროს ამხ. კობახიძემ სერგო ორჯონიკიძეს უსაყვედურა, რომ მას ჰყავს რალაც

---

[1] მლიცკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 82.

[2] იქვე, ფურც. 64.

ცხენი და რომ სათაევში მდგომი ამხანაგები, მათ შორის ამხ. ორჯონიკიძეც. მატერიალურად გაცილებით უკეთ არიან უზრუნველყოფილნი, ვიდრე პარტიის სხვა წევრები. კერძოდ, იყო რაღაც საუბარი ბათუმში ახალი საბაჟო პოლიტიკის გაელენით სიძვირის ზრდაზე. ერთ-ერთი ფრაზა, ეტყობა, იმის შესახებ, რომ სერგო ორჯონიკიძე ხაზინის ხარჯზე კვებავს რაღაც ცხენს, აკაკი კობახიძემ სერგოს ყურში ჩასჩურჩულა; ამის შემდეგ მათ შორის ატყდა ლანძღვა-გინება, რომლის დროსაც ამხ. ორჯონიკიძემ კობახიძეს გაარტყა. ჩემი და ჩემი ცოლის ჩარევით ინციდენტი ამით შეწყდა, და ამხ. კობახიძე ბინიდან წავიდა. ამის შემდეგ სერგო ორჯონიკიძე ძლიერ განერვიულდა, რაც ისტერიკით დამთავრდა.

ინციდენტის არსზე ვფიქრობ, რომ ამხ. ორჯონიკიძე მართალი იყო, როცა ამხ. კობახიძის საყვედური სასტიკ პირად შეურაცხყოფად მიიღო. ამხ. ორჯონიკიძის ნერვიული აღგზნება და ისტერია, რასაც შევესწარი, ჩემი აზრით იმას მოწმობს, რომ შინაპარტიული უთანხმოებისა და კინკლაობის შედეგად საქართველოს პარტიის საუკეთესო წევრებსაც იმდენად აშლილი აქვთ ნერვები, რომ ეს იწვევს შეურაცხმყოფელ მოქმედებებს.

ა. ი. რიკოვი[1]

1923 წ. 7 თებერვალი.

---

[1] მლიკპა. ფ. 5, აღწ. 2. ს. 32, ფურც. 58-59.

არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ რიკოვის წერილში აშკარად იგრძნობა ორჯონიკიძის გამართლების ცდა კობახიძესთან ინციდენტში.

მეორე კითხვის პასუხად ორჯონიკიძე წერს: „საზიზღარი კინკლაობის შედეგია“,[1] მესამე კითხვაზე: „შემიძლია მხოლოდ ვთქვა, საძაგელი სიცრუეა“.[2]

უკვე 3 მარტს ლენინი იღებს ფოტიევას, გლიასერისა და გორბუნოვის მოხსენებით ბარათსა და დასკვნას „საქართველოს საკითხზე“ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მასალების შესახებ.

კომისიის მოხსენებაში ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, რომ თითქმის ყველა ბრალდება, რომლებიც რკპ(ბ) კავბიუროს, ხოლო შემდგომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ წაუყენეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უსაფუძვლოა. სახკომსაბჭოს კომისიის დასკვნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მონათვლა „ნაციონალ-უკლონისტებად“ „ტენდენციურია“. კომისიის მოხსენებაში დასმულია კითხვა: „ხომ არ არის დიდმპყრობელური უკლონიზმი ის, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის მიერ გატარებული ხაზი გამოცხადებული იყო ნაციონალისტურ

---

1 მლიკპა, ფ. 5. აღწ. 2. ს. 32. ფურც. 65

2 იქვე, ფურც. 66.

გადახრად საქართველოს პარტიაში და ხომ არ წარმოადგენს თვით ლოზუნგი „უკლონისტები“ და მისი გაჩენა ტენდენციურს?“.[1]

ამ კითხვაზე დადებითსა და ამასთან ერთად დასაბუთებულ პასუხს იძლევა კომისიის მასალები.

ამრიგად, გამართლდა ლენინის ვარაუდი „ბოლომდე და ხელახლა გამოეკვლიათ ძერჟინსკის კომისიის ყველა მასალა“.

5 მარტს ლენინმა გამოიძახა ვოლოდიჩევა და უკარნახა წერილი ტროცკისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ „საქართველოს საკითხი“ უნდა განხილულიყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სთხოვა წერილი ტელეფონით გადაეცა და რაც შეიძლება ჩქარა ეცნობებინათ მისთვის პასუხი.

წერილში ნათქვამია: „ძალიან გთხოვთ იკისროთ საქართველოს საქმის დაცვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ამ საქმეს ახლა სტალინი და ძერჟინსკი „დევნიან“, და მე არ შემიძლია დავენდო მათს მიუკერძოებლობას. მთლად პირიქითაც კია. თქვენ რომ დათანხმდებოდეთ იკისროთ მისი დაცვა, მე შემეძლება გულდამშვიდებული ვიყო. თუ თქვენ რაიმე მიზეზით ვერ დათნხმდებით, დამიბრუნეთ მთელი საქმე. ამას ჩავთვლი იმის ნიშნად, რომ თქვენ თანახმა არა ხართ“.[2]

---

[1] მლიკა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 89.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 45, გვ. 756.

ეს წერილი ლენინმა იმავე დღეს ტელეფონით წაუკითხა ტროცკის. ტროცკიმ ავადმყოფობა მოიმიზეზა და უპასუხა, რომ ვერ იკისრებდა ასეთ მოვალეობას.

ტროცკისაგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ვ. ი. ლენინი 6 მარტს კარნახობს წერილს ამხანაგების პ. გ. მდივნის, ფ. ე. მახარაძისა და სხვებისათვის. ასლს უგზავნის ამხანაგებს ტროცკისა და კამენევს.

წერილში ნათქვამია:

„პატივცემულო ამხანაგებო! სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს. აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ მას მფარველობენ სტალინი და ძერჟინსკი. ვამზადებ თქვენთვის ბარათებსა და სიტყვას. პატივისცემით ლენინი“.[1]

სამწუხაროდ, ეს იყო დიდი ბელადის უკანასკნელი დოკუმენტი, უკანასკნელი სიტყვები. მან უკვე ვეღარ შეძლო მოემზადებინა წერილი და სიტყვა „საქართველოს საკითხზე“.

მაგრამ ვ. ი. ლენინის ეს ორი უკანასკნელი წერილი, აგრეთვე მისი განსაკუთრებული დაინტერესება „საქართველოს საკითხზე“ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მასალებით და შეუნელებელი ყურადღება და ზრუნვა „ეკვმიტანილი“ ქართველი კომუნისტებისადმი იმ განსაკუთრებული ყურადღების, გულისხმიერების ნათელი ნიმუშია, რომელსაც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 45, გვ. 757-758.

ვ. ი. ლენინი იჩენდა პარტიის სწორი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისა და ეროვნული რესპუბლიკების უფლებათა დაცვაში.

1923 წლის 7 მარტს, შეიტყო რა ლენინის 5 მარტის წერილის შესახებ ჩანანიშნით „სასტიკად საიდუმლოდ". სტალინი ორჯონიკიძეს უგზავნის წერილს, რომელშიც ნათქვამია: „ძვირფასო სერგო! ამხ. კამენევისაგან შევიტყვე,[1] რომ ილიჩი ამხანაგებს მახარაძესა და სხვებს უგზავნის წერილს, სადაც იგი სოლიდარობას უცხადებს (ხაზგასმა ჩვენია. — გ. ჟ.) უკლონისტებს და გლანძღავს შენ, ამხ. ძერჟინსკის და მე. ჩანს, მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე უკლონისტების სასარგებლოდ. ზედმეტია ლაპარაკი, რომ, როცა უკლონისტები ამ წერილს მიიღებენ, ყველანაირად გამოიყენებენ მას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგ, განსაკუთრებით შენს და ამხ. მიასნიკოვის წინააღმდეგ. გირჩევ: 1. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა არავითარი ზეგავლენა არ მოახდინოს საქართველოს კომპარტიის უმრავლესობის ნებაზე, ბოლოსდაბოლოს სრულად გამოვლინდეს ეს ნება, როგორიც უნდა იყოს იგი;

2. მიაღწიეთ კომპრომისს, მაგრამ ისეთ კომპრომისს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკებზე უხეში

---

[1] ცნობილი არ არის, ვისგან შეიტყო კამენევმა ლენინის წერილის შესახებ, რომელსაც ჰქონდა ჩანანიშნი „სასტიკად საიდუმლოდ".

ზეგავლენის მოუხდენლად. ე. ი. ბუნებრივ, ნებაყოფლობით კომპრომისს".

1923 წლის 8 მარტს ორჯონიკიძემ სტალინს აცნობა, რომ უკლონისტებმა გამოუშვეს წინასაყრილობო ანონიმური წერილი — კვლავ „რკინიგზელთა ჯგუფის" ხელმოწერით, რომელშიც ორჯონიკიძეს, მიასნიკოვს, ელიავას, ორახელაშვილს და სხვებს „რას არ უწოდებენ".

8 მარტს ორჯონიკიძე კიროვს სწერდა: „ძვირფასო მირონიჩ. გიგზავნი ჩვენი უკლონისტების ახალ მოწოდებას. ყველა ამტკიცებს, რომ ეს საქმე სერიოჟა ჭავთარაძის კალმის ნაოსტატარია. საქართველოს კპ(ბ) ყრილობის სამზადისი გაჩაღებულია; არც უკლონისტები და არც ჩვენები ძალასა და საშუალებას არ ზოგავენ. უკლონისტებს გვარიანად ურტყამენ. ყრილობაზე ისინი, ალბათ, უმნიშვნელო უმცირესობა იქნებიან".

16 მარტს სტალინი ორჯონიკიძეს დეპეშით ატყობინებს: „ვფიქრობ, ყველაფრის მიუხედავად, საქმე ყრილობაზე კარგად წავა. ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს ყრილობა, ისევე როგორც რკპ(ბ) XII ყრილობა, დაადასტურებს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკას".

ვ. ი. ლენინის მზურნველობითმა დამოკიდებულებამ ნაციონალ-უკლონისტებად მონათლული ჯგუფისადმი უდავოდ განაპირობა მის მიმართ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობის შეცვლა უკეთესობისაკენ.

ამას ნათლად მოწმობს ჯერ კიდევ 25 იანვარს
ცენტრალური კომიტეტი იმას ემყარება,—აღინიშნა დად-
გენილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალუ-
რი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კო-
მიტეტის შემადგენლობის შესახებ. რკპ(ბ) ცენტ-
რალური კომიტეტი იმას ემყარება, — აღნიშნა დად-
გენილებაში, — რომ საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტი ვერ იქნება მუშაობის-
უნარიანი, თუ მის შემადგენლობაში არ ჩაირთვე-
ბიან ძველი ქართველი მარქსისტ-პრაქტიკოსები,
რომლებიც ხელმძღვანელობენ ისეთ უმნიშვნე-
ლოვანეს საქმეებს, როგორიცაა სამხედრო-საზ-
ღვაო, სამეურნეო საქმეები. გარდა ამისა, რკპ(ბ)
ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ძველი მარ-
ქსისტ-პრაქტიკოსი ქავთარაძე საქართველოს ცენ-
ტრალურ კომიტეტში უფრო სასარგებლო იქნე-
ბოდა, ვიდრე ზოგიერთი ახალგაზრდა კომუნის-
ტი. ამის საფუძველზე რკპ(ბ) ცენტრალური კო-
მიტეტი ადგენს:

პირველი. ...საქართველოს ცენტრალურ კომი-
ტეტში წევრებად შეყვანილ იქნენ ელიავა, ტო-
როშელიძე, ცინცაძე კონსტანტინე, ქავთარაძე; და-
ევალოს კავბიუროს საქართველოს ცენტრალური
კომიტეტის პარტიის ახალგაზრდა წევრთა შესაბა-
მისი რაოდენობა ცენტრალური კომიტეტის წევ-
რობიდან გადაიყვანოს ცენტრალური კომიტეტის
კანდიდატებად.

მეორე. ...საქართველოს ცენტრალური კომი-
ტეტის სამდივნოს პრეზიდიუმი აიგოს ისე, რომ

უმრავლესობა უზრუნველყოფილი ჰქონდეთ ძველ პარტიულ ბოლშევიკებს და რომ დაცულ იქნეს ხუთწლიანი სტაჟი.

მესამე. ...საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი დარჩეს ახლანდელ მდგომარეობაში გენუიდან მდივნის დაბრუნებამდე.[1]

შემდეგ ამ დაგენილებაში აღნიშნულია: „სამხარეო კომიტეტი შედგენილ იქნეს ისე, რომ იხელმძღვანელონ კანდიდატების თებერვლამდელი სტაჟით, შეყვანილ იქნენ ნარიმანოვი, კიროვი, კრილოვი, მდივანი, ორახელაშვილი, მიასნიკოვი, ლუკაშინი, კადირლი ან სტაჟიანი სხვა მუსლიმანი, ორჯონიკიძე, სულ ცხრანი“.[2]

მაგრამ ბრძოლა ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ კვლავ დაძაბულ ხასიათს იღებს 1923 წლის მარტში საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე ყრილობაზე. ამ ყრილობებზე თითქმის ყველა გამოსული, როგორც წესი, უხეშად აკრიტიკებდა მათ.

თავის საპასუხო გამოსვლაში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე ყრილობაზე მომხსენებელ ორჯონიკიძის მისამართით მდივანი ამბობდა: „მე განგებ მეჭირა საათი და თვალს ვადევნებდი: 2 საათიდან ჩვენ 40 წუთს გვადანაშაულებდნენ, ეს მეტისმეტად ბევრია, ძალიან დიდი ყურადღება დაგვითმეს, თანაც ჯგუფის წინა-

---

[1] მლიქა, ფ. 13. აღწ. 3, ს. 16, ფურც. 19.

[2] იქვე, ფურც. 20.

ალმდეგ კი არა, არამედ მდივნის ჯგუფის წინააღ-
მდეგ. ეს ძალზე დიდი ყურადღებაა და კარგი იქ-
ნებოდა, თუ მომხსენებელი ბრალდებებს ობიექტუ-
რად წამოგვიყენებდა".

უთანასწორო ბრძოლის შედეგად ორჯონიკიძემ
მიაღწია „ნაციონალ-უკლონისტებზე" „გამარჯვე-
ბას". არც ერთი მათგანი, მახარაძის გარდა, არ
შეუყვანიათ ყრილობის მიერ არჩეულ ამიერკავ-
კასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელ ორგა-
ნოებში, აგრეთვე არ აურჩევიათ რკპ(ბ) XII ყრი-
ლობის დელეგაციის შემადგენლობაში. ბუდუ მდი-
ვანი რკპ(ბ) XII ყრილობაში მონაწილეობდა სა-
თათბირო ხმით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი-
საგან.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის სამ-
ხარეო კომიტეტის საქმიანობა მოიწონა ამიერკავ-
კასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე ყრი-
ლობამ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის მა-
ინც ცხადი გახდა, რომ ამიერკავკასიის სამხარეო
კომიტეტის ხელმძღვანელობას შეცდომები ჰქონ-
და. ეს გამოიხატებოდა ამიერკავკასიის რესპუბლი-
კების უფლებათა უგულებელყოფით და ამიერკა-
ვკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური
რესპუბლიკის (ახკომსაბჭოს), ყველა ან თითქმის
ყველა კომისარიატის უზომო ცენტრალიზაციითა
და კონცენტრაციითა. ამიტომ შემთხვევითი არ არ-
ის, რომ თუმცა სტალინი ყველა საქმეში მხარს
უჭერდა ორჯონიკიძეს, მაინც იძულებული იყო
ესაყვედურა მისთვის 21 მარტს გაგზავნილი დე-

პეშით: „არ შეიძლება ამიერკავკასიის ეროვნული რესპუბლიკები. — წერდა იგი. — ჩავაყენოთ უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ყირიმისა და იაკუტიის (ავტონომიური ოლქები). ეს შეცდომა აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს“...

შემთხვევითი როდია, აგრეთვე, რომ ტროცკიმ 1923 წლის 26 მარტს პოლიტბიუროს სხდომაზე. ხოლო ხუთი დღის შემდეგ, 31 მარტს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე შეიტანა პროექტი, რომელიც შედგებოდა სამი წინადადებისაგან:

1) ორჯონიკიძის გაწვევის შესახებ;

2) აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია თავისი ახლანდელი სახით წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის დამახინჯებას, უზომო ცენტრალიზაციის აზრით;

3) აღიარებულ იქნას, რომ ამხანაგები, რომლებიც შეადგენენ უმცირესობას საქართველოს კომპარტიაში, არ წარმოადგენენ გადახრას პარტიული ხაზისაგან ეროვნულ საკითხში; მათ პოლიტიკას ამ საკითხში ჰქონდა თავდაცვითი ხასიათი — ორჯონიკიძის არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ“.

ტროცკის წინადადებას მხარი არ დაუჭირეს არც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროზე, არც პლენუმზე. სამაგიეროდ რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 31 მარტს მიიღო გადაწყვეტილება მდივნის გაწვევის შესახებ.

ნ. ბ. კ. ორჯონიკიძე: „ყრილობიდან ისინი სისხლგამშრალნი დაბრუნდნენ“

„ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ ბრძოლა მალე კვლავ ყოველგვარ საზღვარს გადასცდა პარტიის XII ყრილობაზე. ყრილობის რამდენიმე სხდომაზე გრძელდებოდა უთანასწორო შეტაკება, ერთი მხრივ, ორჯონიკიძეს, ენუქიძეს, ორახელაშვილის, ელიავას და, მეორე მხრივ, მახარაძეს, მდივანსა და ქავთარაძეს შორის. უფრო მეტიც, ორჯონიკიძემ მდივნის, მახარაძისა და ქავთარაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა ყრილობის ყველა ამიერკავკასიელი დელეგატი — 23 კაცი. მათი ხელმოწერით შეადგინეს საბრალდებო აქტი ეგრეთ წოდებული უკლონისტების, კერძოდ მახარაძის, მდივნის და ქავთარაძის, წინააღმდეგ და შეიტანეს რკპ(ბ) XII ყრილობის პრეზიდიუმში. მათ ბრალად სდებდნენ „სეპარატიზმსა“ და „გაუცხოებას“.

ბევრი ასეთი ცოდვა მიაწერეს მათ განსაკუთრებით ორჯონიკიძემ, ორახელაშვილმა, ენუქიძემ და სხვა დელეგატებმა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციისაგან. ისინი ყრილობაზე ხშირად ისროდნენ დამცინავ რეპლიკებს მდივნისა და მახარაძის მისამართით ყრილობაზე მათი გამოსვლების დროს.

ასე, მაგალითად, როცა ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე მდივანი მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინის სტატიას „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ ავტონომიზაციის შესახებ“, ორჯონიკიძემ ადგილიდან რეპლიკა ესროლა: „გენიოსია...“. რეპლიკაზე მდივანმა უპასუხა: „არა, ჩვენ გენიოსები არა ვართ! ჩვენ გვყავს გენიოსთა რანგში აყვანილი სხვა ადამიანები, მაგრამ ჩვენ უბრალო კომუნისტები ვართ, რომლებიც ფიქრობენ ეროვნულ პრობლემაზე“.

„ფედერაციის წინააღმდეგ“ მდივნის ბრძოლის საკითხს რომ ეხებოდა, სტალინმა ყრილობის მეექვსე სხდომაზე თქვა: „მე ვფიქრობ: ზოგიერთ ამხანაგს, რომლებიც საბჭოთა ტერიტორიის რომელიღაც ნაგლეჯზე მუშაობენ, საქართველო რომ ჰქვია, იქ, ზემო სართულში, ეტყობა, ყველაფერი რიგზე ვერა აქვთ“.

შემდეგ, მდივანი, ყრილობაზე სტალინის მოხსენებას რომ ეხებოდა, აღნიშნავდა: „მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო საქართველოსა და ქართულ შოვინიზმს“, სტალინმა ადგილიდან რეპლიკა ესროლა: „განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად!“.

სტალინის რეპლიკაზე მდივანმა უპასუხა: „გმადლობთ, ამხ. სტალინ, მაგრამ ნება მიბოძეთ „უაღრესად განსაკუთრებული“ პატივისცემის ნიშნად შეგახსენოთ ზოგი რამ ჩვენი წარსული ცხოვრებიდან. გვეუბნებიან, რომ ჩვენ შოვინისტები ვართ იმიტომ, რომ ვიცავთ პრივილეგიებს ჩვენთვის და

თავად ვთრგუნავთ ზოგიერთ ეროვნებას. — მაგალითად აფხაზებს, ოსებსა და აჭარლებს.

ვაცხადებ, რომ აფხაზეთი, — აქ არიან მისი წარმომადგენლები, — დამოუკიდებელი იყო.

ორჯონიკიძე (ადგილიდან): „თქვენი ნების საწინააღმდეგოდ“.

მდივანი. „მაპატიეთ, ამხ. ორჯონიკიძე. თქვენდამი პატივისცემისათვის უნდა ვთქვა, რომ, როცა აფხაზეთის ეს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მე ვერ გამოვავლენდი ვერავითარ ნებას, ვინაიდან თურქეთში ვიყავი, ისე, რომ სწორედ ამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა მოისპო ჩვენი მოწინააღმდეგეების უშუალო ზეგავლენითა და იძულებით“.

ასე. ყრილობის რამდენიმე სხდომაზე გრძელდებოდა შეურაცხმყოფელი კინკლაობა ორ მხარეს შორის. ამასთან დაკავშირებით ყრილობაზე ზინოვიევმა ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ „საქართველოს საკითხმა დათვური სამსახური გაუწია ჩვენს ყრილობას“. რადეკმა კი თავის გამოსვლაში თქვა: „ყრილობა უკვე ცოტა არ იყოს დაიღალა ამ დისკუსიით“.

„ყრილობიდან ისინი სისხლგამშრალნი დაბრუნდნენ“, — ასე დაახასიათა ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტების“ მდგომარეობა ს. ორჯონიკიძემ.

* * *

ტრაგიკულად დატრიალდა იმათი ბედი. ვისაც ავისმომასწავებელი „ნაციონალ-უკლონისტე-

ბის“ დაღი დაასვეს. მთელი რიგი წლების მანძილზე ისინი რეპრესიებს განიცდიდნენ. ასე, ბ. მდივანი და ს. ქავთარაძე უკვე 1927 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ჯერ ჩელიაბინსკში, შემდეგ კი ვიატკაში. ოცდაათიანი წლების დამდეგს ისინი გაათავისუფლეს, რათა 1936-1937 წლებში ისევ დაეპატიმრებინათ. ამ დროისათვის „ნაციონალ-უკლონისტებს“ უკვე ბრალად სდებენ უფრო მძიმე დანაშაულს. ბერიას იმავე წიგნში ეწერა. „1927-1935 წლების პერიოდში ნაციონალ-უკლონიზმი... გადაიზარდა ფაშიზმის დაქირავებულ აგენტურად, იქცა შპიონების, მავნებლების, დივერსანტების, მზვერავებისა და მკვლელების უპრინციპო და უიდეო ბანდად, მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების გათავხედებულ ბანდად“. ჩაუფიქრდით, მკითხველო, რა საშინელი იარლიყების სიუხვეა. ისინი ხომ იმ დროს ჩვეულებრივად გაისმოდა. 1937 წელს დახვრიტეს ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე და ზოგიერთი სხვა. უფრო ადრე, 1930 წელს, ბანაკში მოკვდა კ. ცინცაძე.

იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ წარმოიშვა „ნაციონალ-უკლონისტების“ საქმე, ვფიქრობთ, ის არის, რომ, ლენინმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო რკპ(ბ) XII ყრილობის მუშაობაში.

7. ძირითადი დასკვნები

პირველი. ნაციონალ-უკლონისტებად წოდებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი განუხრელად და თანამიმდევრულად იბრძოდა იმისათვის, რომ განემტკიცებინა, გაეღრმავებინა და გაეფართოებინა ქართველი ხალხის ძმური მეგობრობა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან, კერძოდ, საერთო ინტერესებით შეერთებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხებთან. მაგრამ რკპ ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, ხოლო მოგვიანებით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა იგი ნაციონალ-უკლონისტებად მონათლეს, მიაწერეს მას პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, ამ მხარის რესპუბლიკების პარტიული, სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური კავშირის განმტკიცების წინააღმდეგ გამოსვლა.

ამ ბრალდებებს საერთო არაფერი აქვთ სინამდვილესთან.

კავბიუროს, მოგვიანებით აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობის მტკიცების საპირისპიროდ, „ნაციონალ-უკლონის-

ტებად“ მონათლული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ერთსულოვნად უჭერდა მხარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. მაგრამ ისინი წინადადებას აყენებდნენ ამიერკავკასიის ფედერაცია შექმნილიყო არა მბრძანებლური გზით და ადმინისტრაციული იძულების ღონისძიებებით, ერთი დაკვრით, როგორც ამას ახორციელებდნენ კავბიურო და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, არამედ ორგანიზებულად, უგნური ფაციფუცის გარეშე, მოფიქრებულად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციებისა და ფართო მშრომელი მასების მხარდაჭერით.

ამას მოითხოვდა ლენინის მიერ შედგენილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის საკითხზე, რომელიც პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 29 ნოემბერს. 30 ნოემბერს პოლიტბიუროს ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მოიწონა და „განუხრელი ხელმძღვანელობისათვის“ მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა.

ასეთია ჭეშმარიტება. საწინააღმდეგო მტკიცებისათვის საფუძველი არ არსებობს.

მეორე. ნაციონალ-უკლონისტებად წოდებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი ერთსულოვნად, ყოველგვარი მერყეობის გარეშე მხარს უჭერდა

სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეას, არასოდეს უკან არ იხევდა ამ საკითხში და აქტიურად იბრძოდა ამ იდეის განსახორციელებლად.

საწინააღმდეგო მტკიცებისათვის არავითარი არგუმენტი არ არსებობს.

მესამე. ნაციონალ-უკლონისტებად წოდებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველი იყო, ვინც გაილაშქრა „ავტონომიზაციის" დიდმპყრობელურ-შოვინისტური გეგმის წინააღმდეგ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩაებნენ „ავტონომიზაციის" ავტორი და თანაავტორები და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საორგანიზაციო ბიუროს და სამდივნოს ზოგიერთი სხვა შოვინისტურად განწყობილი წევრი. ამ უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას მხარს უჭერდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც მთელი პრინციპულობით დაგმო „ავტონომიზაციის" გეგმის შოვინისტური ხასიათი და წამოაყენა სსრ კავშირის შექმნის იდეა, რაც უმნიშვნელოვანესი წვლილი იყო პარტიის ეროვნული პოლიტიკის განვითარებაში.

გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ავტონომიზაციის" გეგმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა

გარკვეული როლი შეასრულა ლენინის მიერ სსრ კავშირის შექმნის იდეის ფორმულირების საქმეში, დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ლენინს არასოდეს და არც არ უწოდებია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის „ნაციონალ-უკლონისტური", პირიქით, ლენინი მუდამ მხარს უჭერდა მათ და მზრუნველ დამოკიდებულებას იჩენდა მათდამი.

მეოთხე. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა მათ მიერვე ნაციონალ-უკლონისტებად მონათლულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ბრალად სდებდნენ იმას, რომ ისინი მოითხოვდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციას სსრ კავშირის შექმნის შემდეგ. ეს ფაქტია. ისინი მართლაც მოითხოვდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს შესვლას უშუალოდ, უკრაინისა და ბელორუსიის მსგავსად.

ისმება კითხვა: რატომ არ შეიძლებოდა სსრ კავშირის შექმნის შემდეგ ფედერაციის ლიკვიდაცია? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, სრულიად უმტკივნეულოდ.

ვაჯამებთ რა ზემოაღნიშნულს, გაზვიადებული არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება იყო პრინციპულად არასწორი, ხელოვნურად შეთითხნილი და გაბერილი.

შინაარსი

შესავლის მაგიერ 3
ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტე-
ბის“ წინააღმდეგ 6
ვ. ი. ლენინი: „ერთად და თანასწორად“ . . 30
ბრძოლა უფრო შეურიგებელი ხდება . . 47
ვ. ი. ლენინი: „მთელი სულითა და გულით
თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეებს“ . 66
გ. კ. ორჯონიკიძე: „ყრილობიდან ისინი სისხლ-
გამშრალნი დაბრუნდნენ“ . . . 86
ძირითადი დასკვნები 90

რედაქტორი ი. ხუნდაძე
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი მ. ჯანიკაშვილი
გამომშვები მ. მჭედლიძე

გადაეცა წარმოებას 01. 09. 89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 12. 89. უე 02008. საბეჭდი ქაღალდი 2. 70X90 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,63. პირ. საღ.-გატ. 3,79. სააღრ.-საგამომც. თაბახი 2,97. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 2026.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14

Ордена Трудового Красного Знамени тип. изд.
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.